



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის ჟურნალი

№2, 2018



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

UDC (უაკ) 34(051.2)

ს-216

მთავარი რედაქტორი

ირაკლი ბურდული (პროფ., თსუ)

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე (პროფ., თსუ)

გიორგი დავითაშვილი (პროფ., თსუ)

ავთანდილ დემეტრაშვილი (პროფ., თსუ)

ბესარიონ ზოიძე (პროფ., თსუ)

თევდორე ნინიძე (პროფ., თსუ)

ნუგზარ სურგულაძე (პროფ., თსუ)

პაატა ტურავა (პროფ., თსუ)

ლადო ჭანტურია (პროფ., თსუ)

ნათია ჩიტაშვილი (ასოც. პროფ., თსუ)

ლელა ჯანაშვილი (ასოც. პროფ., თსუ)

გიორგი ხუბუა (პროფ., თსუ)

ლაშა პრეგვაძე (თ. წერეთლის სახ. სახელმწიფოსა და
სამართლის ინსტიტუტის დირექტორი)

გუნთერ ტოიბნერი (პროფ.,

ფრანკფურტის უნივერსიტეტი)

ბერნდ შუნემანი (პროფ.,

მიუნხენის უნივერსიტეტი)

იან ლიდერი (პროფ.,

ფრაიბურგის უნივერსიტეტი)

ხესე ანტონიო სეოანე (პროფ.,

ლა კორუნიის უნივერსიტეტი)

კარმენ გარსიმარტინი (პროფ.,

ლა კორუნიის უნივერსიტეტი)

არტაკ მკრტიჩიანი (პროფ.,

ლა კორუნიის უნივერსიტეტი)

*გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით*

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2019

ISSN 1987-7668

ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე უარყოფითი შედეგის დადგომის რისკის მოწინააღმდეგე – მიმართება სამართლის ეკონომიკურ ანალიზთან

სტატია ეთმობა სახელმწიფოებო ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის განვითარებისას ვალდებულების შესრულების ეტაპზე შესაძლო რისკების მონესრიგების განსაზღვრას. მასში განხილულია ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული რისკის განაწილების საკითხები. სტატიაში მოყვანილია ანგლო-ამერიკული და გერმანული სამართლის სისტემის მიდგომები, თუმცა წამყვან ადგილს იკავებს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების ეკონომიკური ანალიზი, რომელიც, ძირითადად, შეეხება სამართლებრივი მონესრიგების პრაქტიკული მნიშვნელობის დადგენას. აღნიშნული თემატიკის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები ანგლო-ამერიკულ ან გერმანულ ანალოგიურ თუ მსგავს სამართლებრივ გადაწყვეტასთან კავშირში.

საკვანძო სიტყვები: ხელშეკრულების შესრულება, ეკონომიკური ანალიზი, ქცევის სტანდარტი, რისკის განაწილება, არსებითად შესრულება, შესრულების შეუძლებლობა, ხელშეკრულების განმარტება.

1. შესავალი

თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის ფარგლებში პირთა განსხვავებული ინტერესები აღმოცენდება და შესაბამისად, აუცილებელი ხდება მათი დაბალანსების სხვადასხვა – სამართლებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური – მექანიზმის შექმნა. მონესრიგების სამართლებრივი მექანიზმებით, რომლებიც რისკის განაწილების ერთ მთლიან კონცეფციას ქმნიან, სამართლის ინსტრუმენტალიზმის ფუნქცია რეალიზდება. აღნიშნული კი დღესდღეობით სამართლის შესწავლის უახლესი მეთოდოლოგიის – სამართლის ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგნად არის ქცეული. ეკონომიკური ანალიზი სამართლის სწავლებაში ჯერ კიდევ 1910-20-იან წლებში გამოიკვეთა, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში კი იგი დამკვიდრდა როგორც ცალკე მიმდინარეობა, როდესაც იურიდიული საზოგადოების წინაშე დაისვა საკითხი სამართლის ნორმების ეფექტიანობის შესახებ. ეს მეთოდოლოგია სამართლის ნორმების პრაქტიკულ მნიშვნელობას სწავლობს და ამისათვის ეკონომიკურ კატეგორიებს იყენებს.¹

სტატია მიზნად ისახავს წარმოაჩინოს რისკის განაწილების საკითხები და ამით ხელი შეუწყოს სამართლებრივი სირთულეების სისტემურ ხედვას, ტრადიციული თუ თანამედროვე მოსაზრებების შეპირისპირებისა და შესაბამისი შედარებითი ანალიზის მეშვეობით ნათელი გახადოს მხარეთა ინტერესების დაბალანსების პრაქტიკული მნიშვნელობა და საკითხის ინტერდის-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, სამართლის მაგისტრი.

¹ Kornhauser L., The Economic Analysis of Law, Stanford Encyclopedia of Philosophy, 2001, 2, <<https://plato-stanford.edu/entries/legal-econanalysis/>>, [17.07.2017].

ციპლინარულობა. ვალდებულების შესრულების ეტაპზე უარყოფითი მოვლენის დადგომის რისკის იდენტიფიცირება და მისი ეფექტიანად რეგულირება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მთლიანი სისტემისათვის, რადგან სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს შორის რისკის განაწილება მათი განსხვავებული ინტერესების დაბალანსების წინაპირობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიის შესწავლის საგანია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი რეგულაციები სამართლის ეკონომიკურ ანალიზთან კავშირში. ასევე, მასში წარმოდგენილია ქართული სამოქალაქო კანონმდებლობით განმტკიცებული რისკის განაწილების სხვადასხვა შემთხვევა.

ხელშეკრულების შესრულების პროცესი და ამ დროს შესაძლო უარყოფითი შედეგის მონესრიგების საკითხი სტატიაში ეტაპობრივად განვითარებული. თავდაპირველად მოყვანილია ხელშეკრულების ეკონომიკური კატეგორიები და ის, თუ რა პრაქტიკული დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ხელშეკრულების შემადგენელ პირობებს მისი კლასიფიკაციისა თუ რისკის განაწილების პრინციპისათვის. შემდგომ ეტაპზე დახასიათებულია საშუალოდ გონიერი ადამიანის კონცეფცია, რომელიც, პრაქტიკულად, კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულების გამოხატულებაა. ამ კონცეფციას უპირობოდ აქვს დატვირთვა სახელშეკრულებო ურთიერთობის განვითარების ყველა შემთხვევაში, მათ შორის, ვალდებულების შესრულების შეფასებისას. შესაბამისად, ამ კონცეფციის ფარგლებში სტატიაში იშლება მხარის მიერ ხელშეკრულების შესრულებისას სამოქალაქოსამართლებრივი უფლების განხორციელების საკითხი. ცალკე თავის სახით არის გამოყოფილი შესრულების შეუძლებლობისა თუ სახელშეკრულებო მიზნის მიუღწევადობის ინსტიტუტი, რამდენადაც შეიძლება ითქვას, რომ ეს ინსტიტუტი შესრულებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური რისკ-ფაქტორია. ამავე თავში განხილულია ნივთის შემთხვევით დაღუპვის/დაზიანების რისკის განაწილების სტანდარტი. თანამედროვე ხელშეკრულებათა დაუსრულებელი ხასიათი თუ მათი გარეფაქტორებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი ბუნებრივად ართულებს შესრულების პროცესს, რაც თავის მხრივ, მხარეთა ნების განმარტების საჭიროებას ქმნის. ნების განმარტების ფარგლები და ალტერნატივები კი თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ითვლება და შესრულების ეტაპისათვის დამახასიათებელ რისკ-ფაქტორადაც შეიძლება იყოს მიჩნეული. ამდენად, აღნიშნული თემატიკა სტატიაში ცალკე თავის სახით არის წარმოდგენილი, რაც საშუალებას იძლევა ვალდებულების შესრულებისას წარმოშობილი განსხვავებული სირთულეებიც ნათლად იყოს ნაჩვენები. სტატიის ბოლოს გამოკვეთილია სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკა არასტანდარტულ ვითარებაში, ამ შემთხვევაში შესრულების პროცესში მესამე პირის მონაწილეობისას, რომელიც თვალსაჩინოს ხდის ამ გარეფაქტორის პრაქტიკულ დატვირთვას და ხელშეკრულების შესრულების მიზნისათვის ქცევის ზოგადი სტანდარტის დაცვის თავისებურებას.

2. ხელშეკრულების შესრულების პროცესი

ხელშეკრულების შესრულება მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: შესრულების დროს, შესრულების ადგილსა და შესრულების ხარისხს. თითოეული ეს კომპონენტი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში – სსკ), თუმცა დეტალურად უნდა იქნეს რეგ-

ლამენტირებული ის საკითხები, რომლებსაც მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვთ სახელშეკრულებო ბალანსის უზრუნველყოფისა და სახელშეკრულებო რისკის სამართლიანად განაწილების მიზნისათვის. ამდენად, მოცემული თავის მიზანია ვალდებულების შესრულების პროცესისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეკონომიკური ორიენტირების დასახელება.

2.1. ხელშეკრულებადამისი შემადგენელი პირობები

ხელშეკრულებას უპირატესად აქვს დაპირების/ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია. ხელშეკრულება, როგორცნესი, ადგენს ვალდებულების შესრულების სტანდარტსა და მხარეთა პასუხისმგებლობას. ამავდროულად, ხელშეკრულება ემსახურება შესაძლო რისკების წინასწარ განაწილებასა და ვალდებულების დარღვევის შემთხვევისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებების შერჩევას. საბოლოოდ, იგი პოტენციურად დაპირისპირებული ცალკეული ინტერესების შეჯვარების საშუალებაა.²

2.1.1. ხელშეკრულების სახეები ეკონომიკური ანალიზის მიხედვით

სამართლის ეკონომიკური ანალიზის³ (შემდგომში – ეკონომიკური ანალიზი) მიზნებისათვის ხელშეკრულება რესურსების გაცვლის ოპერაციაა და მის ძირითად ფუნქციას ამ რესურსების ეფექტიანი განაწილება წარმოადგენს. შესაბამისად, ხელშეკრულების მთავარ ასპექტად გაცვლის პროცესში მონაწილე სუბიექტების ეფექტიანი ქცევის უზრუნველყოფა განიხილება. ეფექტიანი ქცევის ძიების პროცესში კი გარემოებათა ერთობლიობა, ერთი მხრივ, ფასდება ინდივიდის, ანუ პირადი ქონებრივი, ინტერესის მაქსიმიზატორის პოზიციიდან, ხოლო მეორე მხრივ — საერთო ინტერესის მქონე ხელშემკვერელი მხარეების თვალსაწიერიდან, მაშინ როდესაც მხარეთა საერთო ნება სამართლებრივი დაცვის უპირატესი სიკეთეა სამართლის ტრადიციული როგორც ანგლოამერიკული, ისე ევროპული დოქტრინებისათვის. ეკონომიკური ანალიზის⁴ განსაზღვრებით, სამართლებრივად დაცული და აღსრულებადი უფლებების გარეშე პირები არაეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების საფრთხის ქვეშ დგებიან, რადგან შესაძლოა, უპირატესობა დაუყოვნებლივ თუ თანადროულად შესასრულებელ ვალდებულებებს მიანიჭონ.⁵ ხელშეკრულების სამართლებრივად დაცვა მიზნად ისახავს კონტრაქტის მიმართ პირის არაკეთილსინდისიერი ქცევის გამორიცხვას, ეფექტიანი პირობების უზრუნველყოფას, რისკის უპირატესი მატარებელი მონაწილის გამოკვეთასა და სახელშეკრულებო მოლაპარაკებისა თუ შემდგომი სასამართლო პროცესის კონტროლს. ნეოკლასიკური ეკონომიკის⁶ პოზიციიდან,

² *Beatson J., Anson's Law of Contract, 28th ed., US, 2002, 3.*

³ *Posner R. A., Economic Analysis of Law, 7th ed., US, 2007, xxi.*

⁴ იქვე.

⁵ *Posner R. A., Economic Analysis of Law, 7th ed., US, 2007, 93.*

⁶ ნეოკლასიკური ეკონომიკის შესახებ ანალიზი იხ. *Arnsperger C., Varoufakis Y., What is Neoclassical Economics? The Three Axioms Responsible for its Theoretical Oeuvre, Practical Irrelevance and, thus, Discursive Power, Savez ekonomista Vojvodine, Vol. 53(1), 2005, 6.*

ხელშეკრულება ავტონომიური ხასიათის შეთანხმებაა და არსებითად, რისკის განაწილების მექანიზმს წარმოადგენს.⁷ კერძოდ, თანხმდებიან რა პირები ურთიერთ უფლება-მოვალეობებსა და მათი არსებობის ხანგრძლივობაზე, აყალიბებენ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ რისკის განაწილების სისტემასაც.

ეკონომიკურ ანალიზში, სადაც წამყვანია მომხმარებლისა და მენარმის ცნებები, ერთმანეთისაგან იმიჯნება დისკრეტული და ფარდობითი ტიპის ხელშეკრულებები. დისკრეტულია ხელშეკრულება, რომლის შინაარსი განცალკევებულია და არ არის დამოკიდებული გარემოებებზე, ხოლო ფარდობითია ხელშეკრულება, რომლის შინაარსი და შემდგომი განვითარება აღმოცენებულ გარემოებებსა თუ გარე ფაქტორებთან არის დაკავშირებული. ამასთან, თანამედროვე სამოქალაქო ურთიერთობებში განხორციელებული შეთანხმებების უმრავლესობა ფარდობითი ხასიათისაა.⁸ აღნიშნული დიფერენცირება ეყდნობა სხვადასხვა კრიტერიუმს: 1. დასაწყისი, მოქმედების ხანგრძლივობა და დასასრული; 2. გაზომვადობა და განსაზღვრულობა; 3. დაგეგმვა; 4. რესურსის განაწილება vs. სარგებლის/ტვირთის გაყოფა; 5. ურთიერთდამოკიდებულება, მომავალი თანამშრომლობა და სოლიდარულობა; 6. მონაწილეთა რაოდენობა და მათი პერსონალური ურთიერთობა; 7. ძალაუფლება.⁹ მაგალითისათვის, დისკრეტულია ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადის დასაწყისისა და დასასრულის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. ასევე, დისკრეტულია ხელშეკრულება, როდესაც სახეზეა ნასყიდობა ორ პირს შორის ისე, რომ თითოეულის მხრიდან შესრულება არის დაუყოვნებლივი. ამასთან, როგორც აღინიშნა, თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში, უმეტესად, ფარდობითი ხასიათის ხელშეკრულებები აღმოცენდება, როდესაც უკვე ხელშეკრულების ხსენებული კომპონენტების ცალ-ცალკე შეფასება ხდება საჭირო. მთლიანობაში ფარდობით ხელშეკრულებას სამი ძირითადი კომპონენტი აქვს: შინაარსის განსაზღვრულობა, მოქმედების ხანგრძლივობა და ინვესტირების ხასიათი.

ზოგიერთი ავტორი¹⁰ ერთმანეთისაგან გამოყოფს კლასიკურ, ნეოკლასიკურ და ფარდობით ხელშეკრულებებს. კერძოდ, თუკი კლასიკურ სისტემაში ხელშეკრულება ფასდება მოცემული მომენტისათვის, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება მხარის ვინაობასა თუ სტატუსს, შეზღუდული სახით არის წარმოდგენილი სამართლებრივი დაცვის საშუალებები და აქცენტი გადატანილია ფორმალურ დოკუმენტურ მხარეზე, ნეოკლასიკურ სისტემაში უკვე მოსალოდნელი გარემოებების პროგნოზირებაზეა აქცენტი. ამ დროს ხელშეკრულება ფასდება მთელი მისი განვითარებით. ხელშეკრულების ხანგრძლივობისა თუ სირთულის გათვალისწინებით, კლასიკური და ნეოკლასიკური მოდელები ნელ-ნელა ჩანაცვლდა ხსენებული ფარდობითი ხელშეკრულების მოდელით, სადაც პრიორიტეტულია ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი და სახელშეკრულებო ურთიერთობის მართვის სპეციფიკა.

⁷ Macneil I. R., Economic Analysis of Contractual Relations: Its Shortfalls and the Need for a Rich Classificatory Apparatus, Northwestern University Law Review, Vol. 75, № 6, 1980-1981, 1020.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, 1025.

¹⁰ Williamson O. E., Transaction-Cost Economics: The Governance of Contractual Relations, The Journal of Law and Economics, Vol. 22, № 2, 1979, 236.

2.1.2. ხელშეკრულების შემადგენელი პირობების პრაქტიკული მნიშვნელობა

ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმებიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს სარგებლისა და ტვირთის გაყოფაზე, რომელიც განსხვავებულად წარმოდგება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ტვირთის გაყოფის შემთხვევაა შესრულების საგანთან დაკავშირებული რისკის განაწილება, დისკრეტული ხელშეკრულების პირობებში თვალსაჩინოა, ვინაიდან თითოეულ მხარეს მიეკუთვნება შესრულების მისი ნაწილისათვის დამახასიათებელი ჩვეული რისკი. კერძოდ, ნივთის მესაკუთრეობასთან დაკავშირებული საბაზრო რისკი (მაგ.: ნივთის საბაზრო ფასის ცვლილება) მყიდველზე გადადის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, ხოლო ნივთის ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული — მისი გადაცემის შემდეგ. თავის მხრივ, ნივთის მიტანის/გადაცემის/გაგზავნის პროცესთან დაკავშირებული რისკი გამყიდველის სფეროს განეკუთვნება. თუმცა, ტვირთის აღნიშნული განაწილება შესაძლებელია, შეიცვალოს იმ პირობებში, როდესაც ვთქვათ, შესრულება გადავადებულია დროში. ეს ნიშნავს იმას, რომ არსებობს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელშეკრულებო რისკის განაწილების ჩვეულ პროცესზე. მაგალითად, შემხვედრი დაკმაყოფილების¹¹ არარსებობა თუ მისი ბუნდოვანება ნაკლებ გარანტირებულს ხდის შესაბამისი მხარის მიერ ჯეროვან შესრულებას და ამიტომ, კონტრაქტისათვის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების რისკის განაწილების ლეგიტიმურ მოთხოვნას ბადებს. ცალკე შეიძლება გამოიყოს ე. წ. მომხმარებლის მოთხოვნაზე დამოკიდებული ხელშეკრულებები, როდესაც ბაზარზე მოთხოვნის შემცირების შედეგად განაწილების საგანი ხდება ასევე საქონლის წარმოების ხარჯი (არსებობის შემთხვევაში), განსხვავებით მსხვილი სამენარმეო ურთიერთობებისაგან, სადაც სარგებლის/ტვირთის გაყოფის პროცესისათვის უპირატესად კონვეირის პრინციპი მოქმედებს.

ხელშეკრულების გაფორმების, ანუ ტრანზაქციის, ხარჯი ის კომპონენტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასულებს ხელშეკრულების ფორმირების ეტაპზე. ტრანზაქციის ხარჯები სახელშეკრულებო ურთიერთობის მართვის ხარჯებსაც მოიაზრებს,¹² რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკული ორგანიზების თვალსაზრისით. ტრანზაქციის ხარჯები განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ხელშეკრულება იდება. ასევე, მნიშვნელოვანი კომპონენტებია კონტრაქტის პიროვნება, მოთხოვნისა და მიწოდების ალტერნატიული საშუალებების არსებობა, რისკთან დაკავშირებული ნეიტრალურობა და მოლაპარაკების ინტენსივობა. მაგალითად, კომერციულ ხელშეკრულებებში კონტრაქტირების ერთ-ერთ ნამყვან ფაქტორად წარმოების ხარჯის ეკონომიურობა მიიჩნევა.¹³

შესრულების სირთულის, ანუ შესასრულებელი მოქმედებ(ებ)ის, მიხედვით, ხელშეკრულების შინაარსი შესაძლოა, დიფერენცირდეს შემდეგნაირად: 1. კომპლექსური ან შერეული

¹¹ *Quid pro quo (something for something)* — შემხვედრი დაკმაყოფილების შესახებ დოქტრინის თაობაზე, იხ. *McGovern W. M., Contract in Medieval England: The Necessity for Quid pro Quo and a Sum Certain, The American Journal Legal History, Vol. XIII, 1969, 5.*

¹² *Coase R. H., The Nature of the Firm, Economica, New Series, Vol. 4, № 16, 1937, 394.*

¹³ *Williamson O. E., Transaction-Cost Economics: The Governance of Contractual Relations, The Journal of Law and Economics, Vol. 22, № 2, 1979, 237.*

ხელშეკრულება, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რამდენიმე მოქმედებას; 2. ხელშეკრულება, რომლის შესრულება მოითხოვს ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთი მიზნისათვის განკუთვნილი რამდენიმე მოქმედების შესრულებას და 3. ხელშეკრულება, რომლის შესრულებისათვის მხოლოდ ერთჯერადი მოქმედებაა განსახორციელებელი.¹⁴ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი და სირთულე გალენას ახდენს სახელშეკრულებო რისკის განაწილებაზე. კერძოდ, თუკი ვალდებულება განუყოფელია, ამ დროს მოვალე, როგორც წესი, საკუთარ თავზე იღებს ნაკლიანი/არაჯეროვანი შესრულების უარყოფითი შედეგის რისკს, მათ შორის, მასზეა ნაკლის აღმოფხვრის ხარჯის განევის ვალდებულებაც. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელშიც სამუშაოს ჯეროვნად შესრულების მოტივია უზრუნველსაყოფი. თუმცა მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ნაწილობრივი შესრულების დროს, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარის თქმის დაშვება აშკარად უსამართლო სახელშეკრულებო შედეგს განაპირობებს, რადგან უსაფუძვლოდ არ შეიძლება გამდიდრდეს, მათ შორის, არც დაზარალებული მხარე.¹⁵ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არსებითად არ დარღვეულა, დღის წესრიგში დგება შესრულებული ნაწილის მიღების ვალდებულება. მოცემულ მსჯელობას ეხმიანება სსკ-ის 405-ე მუხლის ჩანაწერი, რომლის მიხედვით, თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. თუმცა ბუნდოვანია, რამდენად მოიაზრებს ეს ჩანაწერი შესრულებული ნაწილის მიღების ვალდებულებას იმის გათვალისწინებით, რომ შესასრულებელი მოქმედება გაყოფადია. ასევე, ცალკე მსჯელობის საგანია ხსენებული ვალდებულება შესაძლოა, წარმოიშვას მოკლევადიანი განაწილვადებული შესრულების შემთხვევაში თუ გრძელვადიანი პერიოდული შესრულების დროსაც. ამასთან, ვალდებულება განუყოფელია თუ გაყოფადი, მისი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების ნაგულისხმევი ვალდებულება უცვლელია.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტია სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსისათვის. ხელშეკრულებები იყოფა ვადიან — განსაზღვრული ვადით დადებულ და უვადო — განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებებად. ამასთან, განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულებები, თავის მხრივ, შესაძლოა, დაიყოს მოკლევადიანად და გრძელვადიანად. ეკონომიკურ ანალიზში განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებებს განუსაზღვრელი მომავლით გაფორმებული ხელშეკრულებები ეწოდება. საინტერესოა, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც, ტრადიციულად, დამოუკიდებელ სამართლებრივ ურთიერთობად განიხილება, ეკონომიკური ანალიზის მიხედვით ხელშეკრულების დასაწყისი ეტაპია. აქ სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყება, მიმდინარეობა თუ შეწყვეტა მკვეთრად არ იმიჯნება ერთმანეთისაგან, ხელშეკრულების დაგეგმვის რთული პროცესის გათვალისწინებით. ამდენად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ხელშეკრულების გაფორმების მომენტი და მისი მოქმედების ვადის ამონურვა მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა. აღნიშნული

¹⁴ Beatson J., Anson's Law of Contract, 28th ed., US, 2002, 510.

¹⁵ იქვე, 514.

ფორმალურობა თვალსაჩინოა ზოგიერთ მოქმედ ქართულ სამოქალაქო სამართლის ნორმაში. მაგალითად, სსკ-ის 605-ე მუხლი,¹⁶ რომლის თანახმად, სამი წლის ვადით დადებული ხელშეკრულება შესაძლოა, განუსაზღვრელად გაგრძელდეს ან კიდევ ე. წ. ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკა. ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედების ვადასთან დაკავშირებული ბუნდოვანება შესაძლოა, განიმარტოს ხელშეკრულების პირობითი გარიგების სამართლებრივ რეჟიმში მოთავსებითაც, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა/გაგრძელება განსაზღვრული პირობის (ვთქვათ, საბაზრო ფასის ცვლილება) დადგომას ან არდადგომაზე არის დაკავშირებული. საინტერესოა, ასევე, ქართული სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნის უფლებას აფუძნებენ. ნიშანდობლივია სსკ-ის 559-ე, 560-ე, 569-ე და 593-ე მუხლები ქირავნობისა და იჯარის გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების შესახებ. მოცემული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ორმხრივი ნების არსებობის – ოფერტის აქცეპტირების – პირობებში, სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდება. ამასთან, დაშვებულია ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესახებ ვარაუდიც, რაც ცხადყოფს კანონმდებლის ნებას, შეინარჩუნოს სახელშეკრულებო ურთიერთობა, ამის თაობაზე მხარეთა ნების ბუნდოვანების შემთხვევაშიც კი. შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელს ხდის, თუ რაოდენ პრაქტიკული მნიშვნელობისა და ხელშეკრულების შედეგებისათვის არსებითი შესაძლოა, იყოს ესა თუ ის სახელშეკრულებო პირობა. ამასთან, არაერთ შემთხვევაში პირობის არსებობის განმსაზღვრელია რიგი შიდა თუ გარე ფაქტორების ერთობლიობა, განსხვავებით ტრადიციული ხედვისაგან, რომელიც ასეთ განმსაზღვრელ წყაროდ, ძირითადად, კანონსა და მხარეთა ნებას მიიჩნევს.

2.2. კონცეფცია საშუალოდ გონიერი ადამიანის შესახებ

ვალდებულების შესრულება გულისხმობს იმეორებითა და გონივრული ზრუნვით ვალდებულების შესრულების ძირითადი სტანდარტია როგორც კონტინენტურ-ევროპულ, ისე ანგლოამერიკულ სამართლის სივრცეში. მოცემულ თავში შესრულების ცალკეულ კომპონენტთან მიმართებით მოყვანილია ობიექტური ქცევის სტანდარტი და აღწერილია შესაბამისი შედეგები რისკის განაწილების კონტექსტში.

2.2.1. საშუალოდ გონიერი ადამიანის ცნება

პირის რაციონალურობისა თუ გონიერების ცნება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის გარემოებათა ერთობლიობაზეა დამოკიდებული და არ წარმოადგენს აბსტრაქტულ კატეგორიას. იგი ერთგვარად იმიჯნება კეთილსინდისიერებისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის კონცეფციებისაგან.¹⁷ გონიერი, საღად მოაზროვნე ადამიანის კონცეფცია შესრულების პრო-

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა უწყებანი, № 31, 24/07/1997.

¹⁷ Zorzetto S., Reasonableness, The Italian Law Journal, Vol. 01, № 01, 2015, 107.

ცესში მოქმედების პრაქტიკულ მიზანს ემსახურება. გონივრულისა და რაციონალურის პირდაპირ კავშირზე თანამედროვე ფილოსოფიაში დასკვნა ზოგჯერ უარყოფითია.¹⁸ კერძოდ, ქცევის არჩევანი, რომელიც წარმოადგენს ლოგიკურსა და რაციონალურს, შესაძლებელია, არ იყოს იმავდროულად გონივრული კონკრეტული შემთხვევისათვის და პირიქით. ამ კატეგორიების დაახლოების შესაძლებლობა ყველაზე მეტად სწორედ სახელშეკრულებო სამართალში ვლინდება. ზოგიერთი მოსაზრებით, გონიერება მორალურად ორიენტირებული რაციონალურობაა.¹⁹ აღსანიშნავია, რომ ეს ცნება სათავეს იღებს მე-16/მე-17 საუკუნეების ინგლისიდან, სადაც პირველად ჩნდება ფრაზა – „გონივრულ ეჭვს მიღმა“.²⁰ თანამედროვე აღქმით, გონივრულობა მოიაზრებს განუსაზღვრელ მომავალს, ადამიანის ქცევის ალტერნატივებსა და მოსალოდნელ შეცდომებსაც. გონიერება გულისხმობს ქცევის სწორ მიზეზს²¹. საშუალოდ გონიერი ადამიანის ცნება, შესაძლოა ითქვას, რომ სამართლის ფიქციაა. ეკონომიკურ ანალიზთან კავშირში კი ეს ცნება გაიგივებულია სოციალურად სასურველ ქცევასთან, რამდენადაც გონივრული იმავდროულად ნიშნავს გასაშუალებულს, ექვილიბრიუმს. თუმცა, თუკი რაციონალურად მოქმედი სუბიექტი თავისი კანონიერი ინტერესების მაქსიმიზატორია და ტვირთის/სარგებლის განაწილების დაბალანსებაზეა ორიენტირებული, საშუალოდ გონიერი ადამიანი სხვებთან თანამშრომლობს და სამართლიანი პირობების მიღწევითაცაა დაინტერესებული. შესაბამისად, რამდენადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის ქცევის შედეგები სხვა პირთათვის, საშუალოდ გონიერი ადამიანის ცნება ადვილად თავსდება კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულებასთან.²² შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საშუალოდ გონიერი ადამიანის შესახებ ცნება ერთ შემთხვევაში წარმოდგება, როგორც ობიექტური ღირებულებების, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც სუბიექტური სამართლიანობის ამსახველი კატეგორია. ამ კონტექსტში, სახელშეკრულებო რისკის ორი ძირითადი კატეგორია გამოიყოფა: 1) რისკი, დაკავშირებული მოვლენასთან ან/და მდგომარეობასთან, რაც დამოუკიდებელია პირის ქცევისაგან; 2) რისკი, დაკავშირებული ქცევასთან, პირის შესაძლებლობებთან და მენტალურ თუ სხვაგვარ მდგომარეობასთან.

2.2.2 ქცევის სტანდარტი ვალდებულების შესრულებისას

ცალკეულ შემთხვევებში საშუალო გონიერი ადამიანის ქცევის სტანდარტი სსკ-ის შესაბამის ნორმაშია გამოხატული. ამავე დროს, ვალდებულებითი სამართლის დისპოზიციურ ნორმებში,²³ რომლებშიც სანიმუშო ქცევაა მოცემული, ბუნებრივია დათქმა იმის შესახებ, რომ შე-

¹⁸ Zorzetto S., Reasonableness, The Italian Law Journal, Vol. 01, № 01, 2015, 110.

¹⁹ იქვე, 117.

²⁰ იქვე, 119.

²¹ აღსანიშნავია, რომ მე-16 საუკუნის ჰოლანდიელი სწავლული – ჰუგო გროციუსი, რომელმაც გააჟღერა რაციონალური ბუნებითი სამართლის იდეა; განმარტავდა, რომ ბუნებითი სამართალი (*ius naturale*) კარნახობს სწორ მიზეზს (*recta ratio*), როცა ქმედებას, შესაბამისია იგი რაციონალურთან თუ არა, მორალური საფუძველი აქვს. იხ. Rommen H. A., Natural Law: A Study in Legal and Social History and Philosophy, Hanley Th. R. (trans.), US, 1998, 71.

²² იხ. კეთილსინდისიერების პრინციპი – კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 83.

²³ იხ. სსკ-ის 362-ე და 365-ე მუხლები.

საძლებელია, ხელშეკრულების შინაარსიდან ან ვალდებულების არსიდან/გარემოებებიდან სხვა რამ გამომდინარეობდეს. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების დროს მხარის ქცევის განსაზღვრის ალტერნატიული წყაროებია კანონი, მხარეთა შეთანხმება და ვალდებულების არსი/ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გარემოებები. მაგალითად, შესრულების დროსთან დაკავშირებული პირობა შესაძლებელია, მიჩნეულ იქნეს არსებითად, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გარემოებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, გააკეთეს თუ არა მხარეებმა ამის შესახებ დათქმა. ასევე, თუკი მხარეებს არ აქვთ განსაზღვრული შესრულების რიგითობა, ვალდებულების შინაარსზე დამოკიდებული იმის განსაზღვრა, პირველი უნდა შესრულდეს იგი თუ არა. კერძოდ, ამ დროს ფასდება, თუ როგორია განსახილველი ვალდებულება თავისი შინაარსით: განმაპირობებელი თუ განპირობებელი. თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ნასყიდობის ხელშეკრულებით მოცული ვალდებულებები, როგორც წესი, თანადროული და კონკურენტულია, ხოლო ვთქვათ, შრომის ხელშეკრულების შემთხვევაში სამუშაოს შესრულება მისი ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს.²⁴ აღნიშნულის განსაზღვრა მნიშვნელოვანია ვალდებულების დარღვევის იდენტიფიცირების მიზნისთვისაც.

შესრულების ადგილთან მიმართებით ქართველი კანონმდებლის ნებაა, რომ უპირატესობა მიენიჭოს მოვალის საქმიანობის ან საცხოვრებელ ადგილს, თუმცა აღნიშნულის საწინააღმდეგო ქცევა დასაშვებია, თუკი ეს პირდაპირ არის შეთანხმებით გათვალისწინებული. შესაბამისად, კრედიტორია ვალდებული წამოიღოს ნივთი მოვალისაგან და იგი შესრულების რისკის მატარებელი ხდება ნივთის მისთვის გადაცემის მომენტიდან. რისკის ეს განაწილება იცვლება, როდესაც მოვალე მზად არის გადასცეს ნივთი, ხოლო კრედიტორი აყოვნებს მის მიღებას.²⁵ განსხვავებულია მიდგომა ფულადი ვალდებულების შესრულების დროს, რადგან ამ დროს მოვალე თავისი რისკითა და ხარჯითაა შესრულებაზე პასუხისმგებელი.²⁶

მხარეთა გამონახტული შეთანხმების არარსებობისას სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრის წყარო ხდება ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსი. ამდენად, კანონმდებელი უკვე საშუალო გონიერი დამკვირვებლისა და სასამართლო პრაქტიკის ვალდებულებად აქცევს ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი შესრულებისა და შესაბამისი რისკების განზოგადებას. მაგ., ინგლისური სამართლის სისტემაში ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის, ძირითადად, დამახასიათებელია ის, რომ ნივთის მიღების ორგანიზება მყიდველის ვალდებულებაა.²⁷ ქართულ სამოქალაქო სამართალში შესრულების ადგილის განსაზღვრის კრიტერიუმად არჩეულია გადასაცემი/მისაღები ნივთის სახეობა – ინდივიდუალურია იგი თუ გვაროვნული. ინდივიდუალური საგნის შემთხვევაში შესრულების ადგილია ამ ნივთის ადგილსამყოფელი, რითაც გარანტირებულია შესრულების საგნის უსაფრთხოება და მისი გადაცემის/მიღების პროცესში რისკის გადასვლა მოვალიდან კრედიტორზე.

შესრულების საგნის ხარისხის თაობაზე ქცევის სტანდარტი უპირატესად მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. სხვა შემთხვევაში, აქცენტი კეთდება ნივთის ხელშეკრულების

²⁴ Anson W. R., Corbin A., Arthur L., Principles of the Law of Contract with a Chapter on the Law of Agency, NY, 1924, 3.

²⁵ იხ. სსკ-ის 393-ე მუხლი.

²⁶ Pieck M., A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of International & Comparative Law, Vol. 3, 1996, 118.

²⁷ Anson W. R., Corbin A., Arthur L., Principles of the Law of Contract with a Chapter on the Law of Agency, NY, 1924, 8.

მიზნის შესაბამის თუ საშუალო სამომხმარებლო ვარგისიანობაზე. მნიშვნელოვანია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის²⁸ (შემდგომში – გსკ) 434.1(2) პარაგრაფის ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ნივთის თვისებებისა თუ მდგომარეობის შესახებ გამყიდველისათვის ობიექტურად ხელმისაწვდომი ინფორმაციის მყიდველისათვის გაცნობა გამყიდველის (მწარმოებლის/გასაღების პროცესში ჩართული პირის) უშუალო მოვალეობაა, რის თაობაზეც დათქმა არ არის სსკ-ის ანალიგიურ მუხლში.²⁹ ნაკლიანი შესრულების სახეა, მათ შორის, სულ სხვა ნივთის ან რაოდენობრივად ნაკლები ნივთის მიწოდება, თუკი არ არსებობს შეთანხმება სხვა შესრულების მიღებაზე. ამასთან, ასეთი შეთანხმება დასაშვებია როგორც შესარულების ვადის დადგომამდე, ისე მისი დადგომის შემდეგ. სხვა ნივთის მიწოდების შემთხვევაში თვალსაჩინოა, თუ რა პრაქტიკული დატვირთვა აქვს მხარეთა ნების ავტონომიას სამართლებრივი შედეგისათვის, რადგან ერთმა და იმავე ქმედებამ შესაძლოა, შეადგინოს ვალდებულების დარღვევა და სხვა შესრულების მიღებით ვალდებულების შეწყვეტაც.

სახელშეკრულებო გარემოებებიდან შესაძლოა, გამომდინარეობდეს ისიც, თუ რამდენად დასაშვებია მესამე პირმა განახორციელოს შესრულება და რა უფლებრივი სტატუსის მქონეა იგი. ქცევის ზოგადი სტანდარტით, იმ შემთხვევაში, როდესაც პირის საქმიანი თუ პროფესიული თვისებები მასთან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს შეადგენს, ამ პირს არ შეიძლება ჰქონდეს უფლებამოსილება შესრულების მიწოდებასთან დაკავშირებით. ამას ნათელყოფს სსკ-ის 371.1 მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. მესამე პირის ჩართულობით შესრულებასთან დაკავშირებული რისკის მონესრიგება კი სსკ-ის 396-ე მუხლშია მოცემული, რომლის მიხედვითაც, მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენადაც ვალდებულების შესრულების ქცევის შეფასება კონკრეტული შემთხვევის მსჯელობის საგნად რჩება, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა უფლების განხორციელების პროცესში მხარის გულისხმიერი დამოკიდებულებისა და მისი გონივრული ზრუნვის ვალდებულების განმტკიცება.

2.2.3. მხარის ცალმხრივი დისკრეციული უფლებამოსილება

²⁸ German Civil Code BGB, Federal Ministry of Justice and Consumer Protection in cooperation with juris GmbH, 18/08/1896, <<http://www.fed.usisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Alemao-BGB-German-Civil-Code-BGB-english-version.pdf>>, [01.01.2018].

²⁹ შეად. სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ელ ნაწილს: „ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის“.

მხარის მიერ სამოქალაქო უფლებამოსილების გამოყენება თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ცალმხრივი უფლებამოსილება შესაძლებელია, გაგებული იყოს, როგორც მხარის მართლზომიერი შესაძლებლობა — მოახდინოს ზემოქმედება კონტრაქტისა თუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შედეგზე. ეკონომიკურ ანალიზში გამოიყოფა მხარის ცალმხრივი და ორმხრივი ძალაუფლება.³⁰ ცალმხრივი ძალაუფლების წყარო საკუთრების აბსოლუტური უფლებაა. ორმხრივი დისკრეციული ძალაუფლების წყაროს კი ხელშეკრულება წარმოადგენს, რადგან სიკეთეების გაცვლის პროცესში რეალიზდება. ამ შემთხვევაში ტერმინი „დისკრეცია“ შესაძლო ცალმხრივი ნების გამოსახატავად გამოიყენება. ნაწილობრივ ამ ნების განმაპირობებელი ფაქტორებია შესრულების დროის, ადგილისა და ხარისხის შესახებ დათქმული სახელშეკრულებო პირობები. არსებითად კი, მხარის ცალმხრივ უფლებამოსილებას ვალდებულების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება წარმოშობს. ეკონომიკური ანალიზი ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოშობილ მეორად მოთხოვნის უფლებას მხარის ცალმხრივ ძალაუფლებას უწოდებს. საბოლოოდ კი, განვითარებულია მოსაზრება მხარეთა ინტერესების დაბალანსების ცვალებადობის შესახებ, ვინაიდან მიიჩნევა, რომ სახელშეკრულებო პოზიციები მხოლოდ მოცემული მომენტისათვის არსებობს.

ვალდებულების შესრულების პროცესში მხარის დისკრეციული უფლებამოსილების შემთხვევად შესაძლებელია, განხილული იყოს ალტერნატიული შესრულების უფლების ან ალტერნატიული ვალდებულების განსაზღვრა შეთანხმებაში. პირველი შემთხვევა, როგორც წესი, ეხება სახელშეკრულებო ვალდებულების საგანს, ხოლო მეორე — შესრულების ამა თუ იმ პირობას. ალტერნატიული შესრულების უფლება სახეზეა მაშინ, როდესაც შეთანხმებული შესრულება, მართალია, უპირატესი ხასიათისაა, მაგრამ იქვე გაკეთებულია დათქმა ვალდებულების საგნის ან მისი ძირითადი მახასიათებლის გონივრულ ვადაში შეცვლის შესაძლებლობის შესახებ (შესრულების ოფცია). ამასთან, შესრულების ოფციით მოსარგებლე მხარე არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს კონტრაქტის ინტერესები ოფციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. მაგ., თუკი უპირატესად შესასრულებელი მოქმედების განხორციელება შეუძლებელია, მოვალე არ არის ვალდებული მიმართოს ალტერნატიულ შესრულებას იმ მიზნით, რომ შენარჩუნდეს ხელშეკრულება და არ შეწყდეს იგი შესრულების შეუძლებლობის საფუძვლით.³¹ შესრულების ოფციის გამოყენებისას ადგილი აქვს შესრულების საგნის ჩანაცვლებას, რა დროსაც ვალდებულება ამოიწურება სხვა შესრულების მიღებით.³² შესრულების ოფციის შინაარსს ითავსებს სსკ-ის 428-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას. სხვა შესრულების მიღების შემთხვევა ქარ-

³⁰ Macneil I. R., *Economic Analysis of Contractual Relations: Its Shortfalls and the Need for a Rich Classificatory Apparatus*, *Northwestern University Law Review*, Vol. 75, № 6, 1980-1981, 1032.

³¹ Beatson J., *Anson's Law of Contract*, 28th ed., US, 2002, 507.

³² Martin S., *Randall L. A. E., Law of Contracts*, NY, 1912, 602.

თულ იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია ნოვაციად,³³ როდესაც მოვალე უფლებამოსილია განახორციელოს, ხოლო კრედიტორი, თავის მხრივ, უფლებამოსილია მიიღოს სხვა შესრულება. ნიშანდობლივია, რომ ხსენებულ მუხლში არ არის მითითება ასეთი შესაძლებლობის/ოფციის მხარეთა მიერ იმთავითვე დათქმის აუცილებლობაზე ისევე, როგორც მის კავშირზე რაიმე ობიექტურ გარემოებასთან. ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საუბარია შესრულების საგნის/შესრულების ძირითადი მახასიათებლის ცვლილებაზე, რომელიც თავიდან შეთანხმებული არ ყოფილა და ამდენად, დასაშვებია, რომ შესრულების მიმდინარეობის ეტაპზეც განხორციელდეს. გსკ-ის მსგავსი 364-ე პარაგრაფის მიხედვით, სხვა შესრულების მიღება და შესრულების მოთხოვნის შეწყვეტა შესაძლოა, შემთხვევის გარემოებებიდანაც გამომდინარეობდეს. ამასთან, ნაკისრი ვალდებულების ნაცვლად სხვა ვალდებულების შესრულების უფლებამოსილება დასაშვებია სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისშივე იყოს განსაზღვრული. გერმანული სამოქალაქო კოდექსის კომენტარში აღნიშნული შემთხვევა შესრულების ჩანაცვლების უფლებამოსილებად მოიხსენიება.³⁴ ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილშია³⁵ მონესრიგებული მოვალის უფლება – შესთავაზოს კრედიტორს ალტერნატიული შესრულება ნაკისრი ვალდებულების დაფარვის მიზნით. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია კრედიტორის ვალდებულებაზე სათანადო გულისხმიერებით შეეცადოს თავისი მოთხოვნის ალტერნატიული შესრულებით დაკმაყოფილების შესაძლებლობას. დასახელებული სამართლებრივი შესაძლებლობები თვალსაჩინო მაგალითია ვალდებულების შესრულების მიზნის უპირატესობის გამოსაკვეთად და ნათელს ხდის, თუ რამდენად იზიარებს ქართველი თუ გერმანელი კანონმდებელი რაციონალურ მხარეთა საიმედო ქცევის ლეგიტიმაციის აუცილებლობას.

განსხვავებულია ალტერნატიული ვალდებულების შემთხვევა. ამ დროს ნებადართულია რამდენიმე შესრულება ისე, რომ ნებისმიერი მათგანი შეადგენს ვალდებულების ჯეროვან შესრულებას. მოვალისათვის იმთავითვე არის მოცემული ალტერნატიულ მოქმედებებს შორის არჩევანის შესაძლებლობა. ალტერნატიული ვალდებულება მონესრიგებულია სსკ-ის 376-ე მუხლში, რომლის მიხედვით, არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად. ამასთან, შესრულების ყველა დათქმული ალტერნატივა უნდა ამოინჭროს, რადგან ერთი რომელიმე მოქმედების შესრულების შეუძლებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას არ ნარმოშობს. ამ დებულებას ამყარებს სსკ-ის 375-ე მუხლიც, რომლის თანახმად, თუ აღმოჩნდა, რომ მოვალეს ორი შესასრულებლიდან შეუძლია უარი თქვას ერთ-ერთზე, მაშინ ძალაში რჩება მეორე მოქმედების შესრულების ვალდებულება. მნიშვნელოვანია, რომ შესაძლო მოქმედებათაგან ერთ-ერთის არჩევის უფლება სწორედ მოვალეს აქვს მინიჭებული,

³³ *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001, 517. შეად.: *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 351.

³⁴ *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანია თ., *ზეზელაშვილი ზ.* (თარგმ.), *ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ.* (რედ.), თბ., 264.

³⁵ შეად. სსკ-ის 379-ე მუხლს: „კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულება დიდი ღირებულების მქონეა“.

რამდენადაც შესრულებასთან დაკავშირებული რისკის — შესრულების ხარჯი, საქონლის მიწოდება/გადაცემა, შესრულების ხარისხის გაუარესება — უზრუნველყოფა მის სფეროს განეკუთვნება. თუმცა საინტერესოა ქართველი კანონმდებლის დათქმა იმის შესახებ, რომ ეს არჩევანი არსებობს, ვიდრე თვითონ ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამდენად, შესასრულებელი მოქმედების შესახებ არჩევანის მიმართაც აქტუალური რჩება საშუალოდ გონიერი ადამიანის თვალსაწიერი, რაც ბუნებრივია სახელშეკრულებო ბალანსის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

2.2.4. ხელშეკრულების არსებითად შესრულება

ხელშეკრულების არსებითად შესრულება გამორიცხავს ხელშეკრულებიდან გასვლისა და შესაბამისი უარყოფითი შედეგების ამა თუ იმ მხარისათვის მიკუთვნების სამართლებრივ რეჟიმს. ამიტომ მნიშვნელოვანია, შეფასდეს, თუ რა კრიტერიუმით განისაზღვრება შესრულების არსებითობა. ანგლოამერიკული სამართლის სივრცეში საკითხის გადანყვეტა კონკრეტული სასარჩელო მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობით გამოიხატება. შესაბამისად, აქ კრედიტორი განიხილება დაზარალებულ მხარედ, რომელსაც, ერთი მხრივ, აქვს არსებითად შესრულებულის საფასურის გადახდის ვალდებულება, ხოლო მეორე მხრივ – ნაკლიანი შესრულებით განცდილი ზიანის ანაზღაურების შემხვედრი სასარჩელო მოთხოვნა. არსებითი შესრულების განსაზღვრა მნიშვნელოვნად უკავშირდება ეკონომიკურ კატეგორიას. კერძოდ, ნაკლიანი შესრულების დროს ვალდებულება შესრულებულია არსებითად, თუკი ხარვეზ(ებ)ის/დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრის ხარჯი შესრულების სახელშეკრულებო ფასთან მიმართებით შეუსაბამოდ მაღალი არ არის. აღნიშნულ პრინციპს ეხმიანება სსკ-ის 490.3 მუხლი, რომლის მიხედვით, გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მოვალისათვის ვალდებულების დარღვევის ეტაპზე მინიჭებულია ერთგვარი სახელშეკრულებო დისკრეტია. ეს დანაწესი პირდაპირ კავშირშია ვალდებულების დარღვევის შედეგების ეკონომიკურ ანალიზთან. ხსენებული მუხლი, ფაქტობრივად, დეკლარირებს ეკონომიკურ ანალიზში ცნობილ ეფექტიანი დარღვევის პრინციპს, რომლის მიხედვით, მოვალეს შესაძლოა, ერჩივნოს არ შეასრულოს ვალდებულება და აანაზღაუროს კონტრაპენტისათვის შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი.³⁶

ანგლოამერიკულ სამართალში კონცეფცია არსებითად შესრულების შესახებ ძირითადად ნარდობის/სამუშაოს შესრულების ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება. შესრულება კომპენსაციით – ანგლოამერიკულ სამართლის სივრცეში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ასე ეწოდება შემთხვევას, როდესაც გადაცემული ნივთის დეფექტი/შეუსაბამობა განსაზღვრადია და მცირე მნიშვნელობისაა, რის გამოც გადაცემული საქონლის ეფექტიანად გამოყენება შესაძლებელი რჩება. ამ დროს ინგლისური სასამართლო ხელშეკრულებას მიიჩნევს შესაბამისი

³⁶ იხ. დეტალურად: *Macneil I. R., Efficient Breach of Contract: Circles in the Sky, Virginia Law Review, Vol. 68, № 5, 1982, 947.*

კომპენსაციის გადახდის პირობით აღსრულებად, ხელშეკრულებად. არსებით შესრულებას აყალიბებს ის, რომ მყიდველის მოლოდინი მნიშვნელოვნად დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, მყიდველი, როგორც საშუალოდ გონიერი ადამიანი, თავისუფალია არჩევანში – მიიღოს დეფექტური შესრულება და შესაბამისი კომპენსაცია, თუ გავიდეს ხელშეკრულებიდან. საინტერესოა, რომ ამ მსჯელობას ინგლისური სასამართლო არ ავრცელებს შესრულების საგნის უფლებრივი ნაკლის მიმართ.³⁷

ეკონომიკური ანალიზის ფარგლებში მთავარი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ ვის უნდა მიეკუთვნოს დათქმულთან შესრულების შეუსაბამობის ტრივიალური რისკები – დამპირებელს თუ დაპირების ადრესატს. ამ დროს გადამწყვეტია ისეთი სამართლებრივი გარემოებები, როგორიცაა: გაყოფადია თუ არა ვალდებულება ან რამდენადაა დაკავშირებული შემხვედრი დაკმაყოფილება ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობასთან. ამ კონტექსტში მხარეთა ინტერესების დაბალანსების თვალსაჩინო მაგალითია გსკ-ის 323-ე პარაგრაფი, რომელიც ხელშეკრულების პირობების შეუსაბამო შესრულების საკითხებს ეთმობა. კერძოდ, 323.5 პარაგრაფით დიფერენცირდება ნაწილობრივი შესრულებისა და შეუსაბამო შესრულების შემთხვევები. თითოეულ ამ შემთხვევაში გერმანელი კანონმდებელი საშუალოდ გონიერი ადამიანის თვალსაწიერიდან აფასებს, ვინაიდან ხელშეკრულებაზე უარის თქმას შესაძლებელს ხდის მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტორს ნაწილობრივი შესრულების მიმართ ინტერესი აღარ აქვს ან ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. ორივე ეს წინაპირობა არსებითად შესრულების შესახებ კონცეფციის მატარებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილობრივი შესრულებისა და დეფექტური შესრულების ერთმანეთისაგან გამიჯვნა განსაკუთრებით აქტუალური ხდება გრძელვადიანი ხელშეკრულებებისათვის. ასევე ნიშანდობლივია, რომ დათქმა ვალდებულების დარღვევის უმნიშვნელო ხასიათის შესახებ წინა პლანზე წამოწევს მოვალის პოზიციას, მაშინ როდესაც ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილის მიმართ ინტერესის შეფასებისას უპირატესობა კრედიტორის მხარესაა. ნებისმიერ ვითარებაში, კონცეფცია არსებითად შესრულების შესახებ უპირატესად მხარეთა ეკონომიკური ინტერესების გამომხატველია და მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, მოვალის მიერ სადავო შესრულებისათვის განუული ხარჯისა და მეორე მხრივ, კრედიტორის მიერ ალტერნატიული წყაროდან შესრულების საგნის მოსაპოვებლად გასაწევი ხარჯის შეპირისპირებას. ეკონომიკური ანალიზის მიხედვით, შესრულების მიზანშეწონილობა ფასდება ორივე მხარის თვალსაწიერიდან: გამყიდველისათვის – შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯის, ხოლო მყიდველისათვის – შესრულების ღირებულების გათვალისწინებით.³⁸ აღსანიშნავია, რომ ქართულ სამოქალაქო კოდექსში ზემოაღნიშნული დიფერენცირება 405-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებშია გამოკვეთილი და ვადებულების დარღვევის არსებითობის წინაპირობები ერთიან სისტემაში წარმოდგენილი არ არის. ასევე, ნაკლიანი შესრულების დროს მოვალის ქცევის სტანდარტი, ძირითადად, სახელშეკრულებო სამართლის, კერძოდ ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების მეშვეობით დგინდება. შესაბამისად, იმის გათვალისწინე-

³⁷ Martin S., Randall L. A. E., Law of Contracts, NY, 1912, 612.

³⁸ Posner E. A., Economic Analysis of Contract Law After Three Decades: Success or Failure?, U Chicago Law And Economics, Olin Working Paper, № 146, 2002, 9.

ბით, რომ ნაწილობრივი/ნაკლიანი შესრულების დროს განსაკუთრებით აქტუალური ხდება მხარეთა კანონიერი ინტერესების დაბალანსების საკითხი, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნორმებში იყოს სათანადოდ წარმოდგენილი.

3. შესრულების შეუძლებლობის/ხელშეკრულების მიზნის მიუღწევადობის შემთხვევის ეკონომიკური ანალიზი

სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმებისას მხარეები ითვალისწინებენ გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა, გავლენა იქონიოს შესრულების ღირებულებაზე. უმეტეს შემთხვევაში მხარეთა შეთანხმების საგანია ნივთის შემთხვევით დაზიანების/დაღუპვის რისკი ან მხარის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საპატიო შემთხვევები. ამა თუ იმ პირობის დათქმით მხარეები მიზნად ისახავენ სახელშეკრულებო დისბალანსისა თუ ინფორმაციული ასიმეტრიულობის განეიტრალებას. ეკონომიკური ანალიზი მხარეთათვის ოპტიმალური შედეგის ძიების წახალისებისაკენ არის მიმართული. მოცემული თავი მიზნად ისახავს შესრულების შეუძლებლობის/ხელშეკრულების მიზნის მიუღწევადობის დოქტრინის ანალიზს, ეკონომიკური ინტერესების საუკეთესოდ უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აქვე აღსანიშნავია, რომ ანალიზის საგანი უპირატესად შესრულების არაბრალეული შეუძლებლობაა.

3.1. დოქტრინალური თეზისები შესრულების შეუძლებლობის შესახებ

ანგლოამერიკულ სამართლის სისტემაში ერთმანეთისაგან განსხვავდება მხარის მიერ შექმნილი სუბიექტური შეუძლებლობა და გარე ფაქტორების/ობიექტური გარემოებების შედეგად აღმოცენებული შეუძლებლობა. პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს ვალდებულების დარღვევას, ხოლო მეორე შემთხვევაში – ხელშეკრულების მიზნის მიღწევის შეუძლებლობას. ბრალეულობა მოიაზრებს როგორც მოვალის, ისე კრედიტორის ქცევას, თუკი ვთქვათ, ეს უკანასკნელი არ თანამშრომლობს მოვალესთან. ხელშეკრულების მიზნის მიუღწევადობის შესახებ ანგლო-ამერიკული დოქტრინის შესაბამისად, ბრალეული ქცევა, ხშირ შემთხვევაში, დაუდევარი ან არათანამიმდევრული ხასიათისაა. შესრულების შეუძლებლობა შეიძლება წარმოიშვას როგორც შესრულების ვადის დადგომამდე, ისე მის შემდეგ. შესრულების ვადის დადგომამდე წარმოშობილი შეუძლებლობა ვალდებულების მოსალოდნელი დარღვევის შემთხვევაა. გერმანულ სამოქალაქო სამართალში,³⁹ შესრულების შეუძლებლობა ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევას ნიშნავს, თუმცა შედეგობრივად განსხვავდება ვალდებულების დარღვევის სხვა შემთხვევებისაგან, რადგან მათ შორის ერთადერთია, რომელიც შესრულების ვალდებულებისაგან მხარის გათავისუფლებას აფუძნებს.

³⁹ შეად. *Lowisch M.*, *New Law of Obligations in Germany*, *Ritsumeikan Law Review*, № 20, 2003, 17.

შესრულების შეუძლებლობის ქვეშ თავსდება რიგი პრაქტიკული შემთხვევები. ამიტომაც, ანგლო-ამერიკულ სამართალში განვითარებული სამართლებრივი მონესრიგა შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობის, შესრულების არაპრაქტიკულობისა და ხელშეკრულების მიზნის მიუღწევადობის შესახებ, ერთიანი თეორიული ჩარჩოს აუცილებლობის მიუხედავად, განპირობებულია შემთხვევების სხვადასხვაობითა და ინდივიდუალურობით. კერძოდ:

- შესრულების შეუძლებლობა ნიშნავს შემთხვევას, როდესაც შესრულება ფიზიკურად არის შეუძლებელი;

- ხელშეკრულების მიზნის მიუღწევადობა ნიშნავს შემთხვევას, როდესაც შესრულება ფიზიკურად შესაძლებელია, მაგრამ ხელშეკრულების თავდაპირველად დათქმული მიზანი არ არის მიღწევადი;

- შესრულების არაპრაქტიკულობა კი ნიშნავს შემთხვევას, როდესაც შესრულება ფიზიკურად შესაძლებელია, ხელშეკრულების მიზანიც მიღწევადია, მაგრამ აღნიშნული მოითხოვს მოსალოდნელზე/დაგეგმილზე გაცილებით მეტ ხარჯს ან ძალისხმევას.⁴⁰

შესრულების შეუძლებლობის/ხელშეკრულების მიზნის მიუღწევადობის შესახებ დოქტრინისათვის დამახასიათებელია ის, რომ უარყოფითი შემთხვევა უნდა აღმოცენდეს ობიექტური და გაუთვალისწინებელი, მხარეთა კონტროლს მიღმა არსებული გარემოების შედეგად, ისე რომ არ უნდა იკვეთებოდეს არცერთი მხარის ბრალეულობა. შესაბამისად, ეს ინსტიტუტი პირის ქცევისაგან დამოუკიდებელ, ობიექტური რისკ-ფაქტორის რეალიზების კატეგორიას განეკუთვნება. თავდაპირველად, ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში არაბრალეული შეუძლებლობის შემთხვევები საზღვაო გადაზიდვების სფეროში განიხილებოდა.⁴¹ შემდეგში აღნიშნული დოქტრინის ქვეშ მოთავსდა შემთხვევები, როდესაც შესრულება კონკრეტული პიროვნების მიერ უნდა განხორციელებულიყო და იგი გარდაიცვალა,⁴² ნორმატიული ბაზის ცვლილება, რომელმაც მხარის კონტროლს მიღმა დატოვა შესასრულებელი ვალდებულება,⁴³ ხელშეკრულების საფუძვლად არსებული გარემოებ(ებ)ის დაუდგომლობა და სხვ. ამასთან, უკანასკნელ შემთხვევაში ლეგიტიმური სახელშეკრულებო მოლოდინის ხელყოფა ორივე მხარეს უნდა შეეხებოდეს.⁴⁴ ამდენად, ანგლო-ამერიკულმა დოქტრინამ ობიექტური ხასიათის შემთხვევები გააერთიანა.

ფორს-მაჟორულ ვითარებაში სახელშეკრულებო ბალანსის შენარჩუნება ერთ-ერთი წამყვანი საკითხია ამა თუ იმ სამართლის სისტემაში. თავდაპირველად მიიჩნეოდა,⁴⁵ რომ ამ დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების საფუძვლად არსებული გარემოებების ნორმალური მიმდინარეობა, რათა შენარჩუნებულიყო მხარეთა თავდაპირველი განზრახვა. აღნიშნული განსაკუთრებულ დატვირთვას იძენდა კომერციული/პრაქტიკული შეუძლებლობის

⁴⁰ Posner R. A., Rosenfield A. M., Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, The Journal of Legal Studies, Vol. 6, № 1, 1977, 84.

⁴¹ Beatson J., Anson's Law of Contract, 28th ed., US, 2002, 530.

⁴² იხ. სსკ-ის 453-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴³ Anson W. R., Corbin A., Arthur L., Principles of the Law of Contract with a Chapter on the Law of Agency, NY, 1924, 530.

⁴⁴ საინტერესოა პარალელი სსკ-ის 73 („გ“) და 360-ე მუხლებთან, რადგან გარიგებასთან დაკავშირებულ გარემოებებში ორმხრივი შეცდომა, რომელიც ანგლო-ამერიკულ სამართალში მოსალოდნელ შეუძლებლობად განიხილება, გერმანულ და ქართულ კოდიფიკაციებში შეთანხმების ბათილობის წინაპირობებია.

⁴⁵ მოსაზრება ნაგულისხმევი პირობის შესახებ – ე. წ. პირობის ფიქცია.

შეფასებისას. მე-20 საუკუნის 60-იანი წლებისათვის ანგლო-ამერიკული სამართალი უკვე შესასრულებელი ვალდებულების რადიკალური ცვლილების თეორიას⁴⁶ ანიჭებს უპირატესობას. კერძოდ, გამორიცხულია ისეთი შესრულების დავალდებულება, რომელიც არ შეიძლება მოეთხოვოს მხარეს, ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების გათვალისწინებით. თუმცა შეფასების ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევა ვალდებულების შინაარსობრივი ცვლილება და არა მისი შესრულების სირთულე თუ დაკავშირებული ხარჯის სიდიდე.⁴⁷ მნიშვნელოვანია, რომ შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის ქვეშ არ თავსდება შესრულების ხარჯის მკვეთრი ზრდა (საბაზრო ფასის ცვლილება), რადგან მიჩნეულია, რომ ეს არ ხელყოფს ხელშეკრულების მიზანს. ანალოგიურია დასკვნა შესრულების წესთან დაკავშირებით. შესაბამისად, ხსენებული უარყოფითი მოვლენები მოვალის რისკის სფეროს მიეკუთვნება.

ეკონომიკური ანალიზის მიხედვით არაბრალეული შესრულების შეუძლებლობის დროს ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რომელმა მხარემ უნდა აიღოს საკუთარ თავზე შემთხვევის დადგომის რისკი და შესაბამისი შედეგები? ან, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული? პირველ რიგში, რაც ამ დროს შემომწმების საგანია, არის ის, თუ რამდენად ანესრიგებს თვითონ ხელშეკრულება შესაძლო უარყოფითი შემთხვევის რეალიზების შედეგებს. ხელშეკრულების შენარჩუნების თუ შეწყვეტის საკითხის ანალიზი, უპირატესად, მხარეთა საერთო ნების სფეროში უნდა დარჩეს. მსჯელობის საგანია საკითხი იმის შესახებ, გარემოება განუჭვრეტელი უნდა იყოს თუ შესაძლებელია მხარეთათვის განჭვრეტად გარემოებასაც წარმოადგენდეს. ეკონომიკური ანალიზის მიხედვით მოსამართლეს, ძირითადად, მაინც მხარის კომერციული საქმიანობის გათვალისწინება მოეთხოვება.⁴⁸

სადავო შემთხვევები დიფერენცირდება იმისდა მიხედვით თუ ვისზეა უარყოფითი შედეგის დადგომის რისკი. ვთქვათ, თუკი შესრულება მოვალისათვის არაეკონომიკური ხდება, მაშინ მასზეა ეს რისკი თუ შესაძლოა, ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლდეს? შესრულების ვალდებულებისაგან მოვალის გათავისუფლება ნიშნავს რისკის კრედიტორზე გადატანას, ხოლო გათავისუფლებაზე უარის თქმა — ამ რისკის მოვალისათვის მიკუთვნებას. შესრულება არაეკონომიკურია, თუ განუჭვრეტელი და დაურეგულირებელი შემთხვევის შედეგად შესრულების ხარჯი იმდენად გაიზარდა, რომ გადააჭარბა ხელშეკრულებიდან მოსალოდნელ სარგებელს. დამპირებლის/მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც რისკის საუკეთესი მატარებელი დაპირების ადრესატი. ეკონომიკურ ანალიზში „რისკის საუკეთესოდ მატარებელი მხარის“ განსაზღვრის ორი ძირითადი კრიტერიუმი არსებობს: 1. პირს აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს რისკის თავიდან აცილება შედარებით მცირე დანახარჯით (ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად არ არსებობს არაბრალეული შეუძლებლობის დროს) და 2. პირი რისკის საუკეთესო მზღვეველია. ამასთან, პირი შესაძლოა, აკმაყოფილებდეს მხოლოდ მეორე კრიტერიუმს, როგორც ეს არის სადაზღვევო კომ-

⁴⁶ თეორია ხელშეკრულების კონსტრუქციის შესახებ.

⁴⁷ *Beatson J., Anson's Law of Contract*, 28th ed., US, 2002, 544.

⁴⁸ იქვე, 546.

პანიების შემთხვევაში.⁴⁹ როგორც აღინიშნა, დამპირებელი/მოვალე შესრულების ვალდებულებისაგან შესაძლოა, გათავისუფლდეს მხოლოდ მაშინ, თუ დაპირების ადრესატს/კრედიტორს უკეთ ძალუძს დააზღვიოს შემთხვევის უარყოფითი შედეგები, რადგან პოზიციურად შეუძლია უკეთ შეაფასოს რისკის მოსალოდნელობა თუ მასშტაბი.⁵⁰ თუმცა, ანგლო-ამერიკულ სამართლის სივრცეში არსებობს ერთგვარი პრეზუმფცია იმისა, რომ დამპირებელს/მოვალეს უფრო მეტად აქვს საშუალება, მოახდინოს პრევენცია თუ დაზღვევა მოვლენისა, რომელიც შესრულებას არაეკონომიკურს გახდის.⁵¹ შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებაც დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის უკეთეს პოზიციაშია, რომ ჭვრეტდეს, აფასებდეს და აზღვევდეს რისკს, რაც ისევე გონიერი დამკვირვებლის კონცეფციამდე მიდის.

როგორც ნესი, მხარე მზად არის გადაიხადოს შესრულების მაღალი საფასური, რათა გათავისუფლდეს რისკის ტვირთისაგან, რაც მოწმობს იმას, რომ რისკი გაზომვადი კატეგორიაა. შესრულების რისკი შედგება მისი რეალიზების ალბათობისა და მასშტაბისაგან. ამ მაჩვენებლების ცოდნა აუცილებელია, რათა დადგინდეს მხარის მიერ რისკის საკუთარ თავზე აღების სანაცვლო კომპენსაცია. ამდენად, რისკის განაწილების ყველაზე მარტივი და ეკონომიკურად ეფექტიანი საშუალებაა მაღალი სახელშეკრულებო ფასის, ე. წ. რისკის დაზღვევის პრემიის მოთხოვნა. ეკონომიკური ანალიზის მიხედვით, მოსალოდნელი ზიანის მინიმუმამდე დაყვანის ორი ფუნდამენტური მეთოდი არსებობს: პრევენცია და დაზღვევა. თუკი შესაძლებელია ზიანის პრევენცია მცირედი დანახარჯით, სახეზეა პრევენციურებადი ზიანი. თუმცა როცა ეს ასე არ არის, სახეზეა ქონებრივი დანაკარგის განცდის რისკი და მის რეალიზებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების აუცილებლობა. ამ დროს რისკის განაწილების ყველაზე მარტივი მოდელია ნივთის ფასის კორექტირება, მოსალოდნელი დანაკარგის კომპენსირების მიზნით, გასაწევი ხარჯის ოდენობის შესაბამისად.⁵² სხვაგვარად, ეკონომიკურად მისაღწევ მიზანს წარ-

⁴⁹ Posner R. A., Rosenfield A. M., Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, The Journal of Legal Studies, Vol. 6, № 1, 1977, 90.

⁵⁰ იქვე, 92.

⁵¹ Uniform Commercial Code, 1952, <<https://www.law.cornell.edu/ucc>>, [01.01.2018]. აესკ-ის §2.615. აქცენტს აკეთებს შესრულების არაპრაქტიკულობაზე და იმაზე, რომ ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის უარყოფითი მოვლენის არარსებობა მხარეთა მთავარი ვარაუდი უნდა იყოს. საინტერესოა, რომ სამართლებრივი დაცვის ამ საშუალებით სარგებლობა მხოლოდ გამყიდველთათვის არის გათვალისწინებული.

⁵² რისკის ღირებულებაში გარდაქმნის პრაქტიკა კარგად წარმოჩინდება სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის მაგალითზე. ამინდის გაუარესების გამო საზღვაო გადაზიდვის შეფერხების მაგალითი კარგად აჩვენებს რისკის განაწილების საკითხს არაბრალებული ვადის გადაცილების დროს. კერძოდ, ტვირთის გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობაში შემუშავებულია ე. წ. დაყოვნების გადასახდელი. ამინდის გაუარესების გამო ტვირთისაგან ვაგონის გათავისუფლების დაგვიანების რისკის მატარებელი შესაძლოა, იყოს ერთ შემთხვევაში – გამგზავნი და მეორე შემთხვევაში — მიმღები. ეს განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ ვინ იხდის და რა პირობით აღნიშნულ დაყოვნების გადასახდელს. თუ შეთანხმება იმგვარია, რომ ამ გადასახდელს იხდის მიმღები და ეს უკანასკნელი ამინდის გაუარესების გამო დაყოვნებისას გადასახდელისაგან თავისუფლდება, გამოდის, რომ შესაბამისი რისკის (არაბრალებული ვადის გადაცილების/დროებითი შეუძლებლობის შემთხვევა) მატარებელი გამგზავნია; ხოლო, თუ შეთანხმება იმგვარია, რომ არ არსებობს საპატიო მიზეზი დაყოვნებისათვის და მიმღები იღებს განსაზღვრულ თანხას ვაგონის დათქმულ დროს ან ვადაზე ადრე მის მიერ გათავისუფლებისათვის, გამოდის, რომ ამ შემთხვევაში შესაბამისი რისკის მატარებელია მიმღები და თანხა, რომელსაც ის ვაგონის დროული გათავისუფლების შედეგად ღებულობს, ამის ერთგვარი კომპენსაციაა. შესაბამისად, არსი მდგო-

მოადგენს რისკის რეალიზების შედეგად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის რისკის საუკეთესოდ მატარებელი. ეკონომიკური შეუძლებლობის დროს სამართალშემფარდებლის მთავარი მიზანია იმ სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა, რომლებზედაც შეთანხმდებოდნენ მხარეები, რეალიზებული რისკი რომ განეჭვრიტათ. ამასთან, მიიჩნევა, რომ მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ შეუძლებლის შესრულებაზე, რაც, ფაქტობრივად, შესაბამისი კომპენსაციის გადახდაზე შეთანხმებას ნიშნავს. რამდენადაც შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის გამოყენების წინაპირობა ზიანის პრევენციის შეუძლებლობაა, გონივრული ზრუნვისა და გულისხმიერების გამოჩენა ერთ-ერთ მკვალიფიციურებელ გარემოებად რჩება ამ დროსაც.

გსკ-ის 275-ე პარაგრაფი ვალდებულების შესრულების გამორიცხვის სათაურქვეშ აწესრიგებს შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტს. აქ შესრულების შეუძლებლობა როგორც საკანონმდებლო, ისე დოქტრინალურ დონეზე ცალკეულ სახეებად (ობიექტური-სუბიექტური, ფაქტობრივი-იურიდიული, სანყისი-შემდგომი) არის დეტალიზებული. გერმანული კოდექსი ამ საერთო პარაგრაფის ქვეშ აერთიანებს შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებისა და მოვალის მიერ შესრულებაზე უარის თქმის საკითხებს. სახელშეკრულებო ბალანსის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოვალის უფლება შესრულებაზე უარის თქმის შესახებ. ეს უთანაბრდება პრაქტიკული შეუძლებლობის შემთხვევას, როდესაც შესრულება შეუსაბამოდ რთული ხდება (არანამდვილი შეუძლებლობა).⁵³ შესრულებაზე უარის თქმის უფლების (პრაქტიკული შეუძლებლობა) გამოყენების წინაპირობაა მოვალის მხრიდან შეუსაბამოდ დიდი ხარჯისა თუ არაგონივრული ძალისხმევის გაღების საჭიროება. ხარჯების-/ძალისხმევის შეუსაბამობის ერთ-ერთი საზომი კი ვალდებულების შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესია. ამასთან, მითითება გაკეთებულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსსა და კეთილსინდისიერების პრინციპზე. აღნიშნული პარაგრაფის მე-3 ნაწილი მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულების შეუძლებლობის დროსაც მიმართავს შეფასებას იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მოეთხოვოს მოვალეს შეასრულოს ვალდებულება ხელშეშლისა და შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესის ურთიერთშეწონის გათვალისწინებით. გსკ-ის კომენტარში⁵⁴ აქცენტირებულია ისიც, რომ დროებითი შეუძლებლობა შესაძლოა, გაუთანაბრდეს მუდმივს, როდესაც კრედიტორს არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ბოჭვაში დარჩენა ხელშეშლის აღმოფხვრამდე. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მთავარ პრინციპს წარმოადგენს თანაზომიერების დაცვა, ერთი მხრივ, შესრულებისათვის მოვალის მიერ გასანევ ხარჯსა და მეორე მხრივ, შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესს შორის.⁵⁵ მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში შეფასების მიღმა რჩება შესრულების სახელ-

მარეობს იმაში, მხარეთაგან თუ რომელია რისკის მატარებელი. დეტალურად იხ. *Posner R. A., Economic Analysis of Law, 7th ed., US, 2007, 105.*

⁵³ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანია თ., *ზეზელაშვილი ზ.* (თარგმ.), *ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ.* (რედ.), თბ., 2014, 150.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ შეად.: სსკ-ის 490-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს“.

შეკრულებო ფასი, რაც ერთ-ერთი წამყვანი კრიტერიუმია ეკონომიკური ანალიზისათვის. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ გერმანული კოდექსი ცალკე 313-ე პარაგრაფის მეშვეობით აწესრიგებს გარიგების საფუძვლის ცვლილების (შეცვლილი გარემოებები) შემთხვევას, რომლის ქვეშაც მოიაზრებს ეკონომიკურ შეუძლებლობას, როდესაც დომინანტური უკვე მოვალის კანონიერი ინტერესი ხდება.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში⁵⁶ მოცემული განმარტებით, აქცენტირებულია ობიექტური, გაუთვალისწინებელი გარემოებით გამოწვეული აბსოლუტური შეუძლებლობა – ე. წ. „ფორს-მაჟორული“ გარემოებანი. გამოდის რომ, შესრულების დაბრკოლება/გაძნელება, იგივე ეკონომიკური შეუძლებლობა შეცვლილი გარემოებებისა და ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის⁵⁷ ქვეშ თავსდება, განსხვავებით ზემოთ მოცემული ანგლო-ამერიკული დოქტრინისაგან, რომელიც სხვა შემთხვევებთან ერთად, პრაქტიკული შეუძლებლობის შემთხვევებსაც აერთიანებს. ქართულ სამოქალაქო კოდექსში 401-ე მუხლი ერთადერთია, სადაც შესრულების შეუძლებლობა დასახელებულია, როგორც ასეთი. კერძოდ, მასში წარმოდგენილი არაბრალეული ვადის გადაცილების შემთხვევა შესრულების შეუძლებლობად კვალიფიცირდება. მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია მისი ბრალის არარსებობა და ნაკლები ყურადღება ეთმობა უარყოფითი მოვლენის დადგომის რისკის მხარეებს შორის განაწილების საკითხს. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი მწირი რეგულირების პირობებში, შესრულების შეუძლებლობის სადავო შემთხვევებისას სახელშეკრულებო სამართლიანობის უზრუნველყოფა ბუნდოვან საკითხად რჩება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სადავო გარემოებები შესრულების გაძნელებასა და შედეგად მოაზრებულ ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტში იქნება მოთავსებული.

3.2. ხელშეკრულების საგნის შემთხვევით დალუპვა/დაზიანება

ნივთის შემთხვევით დალუპვის/დაზიანების საკითხი განსაკუთრებით თვალსაჩინოა შესრულების შეუძლებლობის კონტექსტში. ანგლო-ამერიკულ სამართლის სივრცეში ეს შემთხვევა ხელშეკრულების საგნის განადგურებით არის ცნობილი. ამასთან, ამ კვალიფიკაციისათვის შეთანხმების საგანი უნდა იყოს სპეციალური, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, რომელიც განადგურდა გამყიდველის ბრალის გარეშე და მყიდველზე შესაბამისი რისკის გადასვლის მომენტამდე. ასეთ დროს სახელშეკრულებო ვალდებულებების გაქარწყლება უალტერნატივო სამართლებრივი შედეგია.⁵⁸ ამერიკის ერთიანი სავაჭრო კოდექსის (შემდგომში – აესკ) მიხედვით,⁵⁹ ნასყიდობა-გაგზავნის ხელშეკრულებებში ნივთის შემთხვევით განადგურების რისკი გამყიდველზეა ნივთის გადამზიდვისათვის ჩაბარების მომენტამდე, ხოლო ნასყიდობა-მიწოდების (დანიშნულების ადგილამდე მიტანის) ხელშეკრულებებში რისკი ისევ გამ-

⁵⁶ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, თბ., 2001, 371.

⁵⁷ იხ. სსკ-ის 398-ე მუხლი.

⁵⁸ Sale of Goods Act, 06/12/1979, <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/1979/54>>, [01.01.2018].

⁵⁹ იხ. §2.509., Short Uniform Commercial Code, 1952, <<http://www.casefilemethod.com/statutes/short%20ucc.pdf>>, [01.01.2018].

ყიდველზეა, მხოლოდ უკვე ნივთის დანიშნულების ადგილამდე მიტანის მომენტამდე. ამდენად, ჩვეულებრივ რისკის საუკეთესო მატარებელი გამყიდველია, რადგან მიიჩნევა, რომ რისკი მასზეა, ვინც ნივთის გადატანას/გადაზიდვას უზრუნველყოფს.⁶⁰

ხელშეკრულების საგნის დაზიანებისა თუ ნაწილობრივ განადგურების შემთხვევაში, შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის ამოსავალი პრინციპი – მყიდველის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ, ძალაში რჩება იმ დათქმით, რომ მყიდველს, თუკი მას ამის ნება აქვს, უფლება აქვს მიიღოს საგნის დაუზიანებელი/შენარჩუნებული ნაწილი.⁶¹ ამასთან, მის მიერ საფასურის გადახდის ვალდებულების მოცულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, გაყოფადია თუ არა შესრულების საგანი. ამის განსაზღვრა კი, არსებითად, მხარეთა განზრახვის დადგენით არის შესაძლებელი. კერძოდ, უნდა განისაზღვროს, არის თუ არა გამოცალკევებადი ნაწილობრივად შესრულებული და შესაბამისად, შესაძლებელია თუ არა ნაწილობრივად შესრულებულის მიღება. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული ოფცია მყიდველის ერთგვარი პრივილეგიაა. ამ პრივილეგიის დასაბუთებაა ის, რომ ნივთის განადგურება, მათ შორის, ნაწილობრივ, აქარწყლებს გამყიდველის ყოველგვარ მოთხოვნის უფლებას მყიდველის მიმართ. მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში რთული განსამარტია, თუ რა ხარისხის უნდა იყოს ნივთის დაზიანება, რომ შესრულების ვალდებულებისაგან მყიდველის სრული გათავისუფლების სამართლებრივი შედეგი დადგეს. ფართო განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ნივთი მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით წყვეტს არსებობას ისე, რომ არ წარმოადგენს შეთანხმებულ ხარისხის, სამართლებრივად, ფიზიკურად განადგურებულს უთანაბრდება.⁶² ამასთან, ამ უარყოფით მოვლენას ადგილი უნდა ჰქონდეს მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტამდე.

ანგლო-ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში⁶³ მნიშვნელოვან საკითხად არის წარმოდგენილი ნივთის განადგურებამდე/დაზიანებამდე მყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის

⁶⁰ Posner R. A., Rosenfield A. M., Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, The Journal of Legal Studies, Vol. 6, № 1, 1977, 108.

⁶¹ შეად.: Uniform Sales Act, 01/01/1906, <<http://source.gosupra.com/docs/statute/221>>, [01.01.2018]. საინტერესოა ერთიანი ნასყიდობის აქტის მე-7 და მე-8 სექციები, რომელთა მიხედვით, თუკი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის ან გაფორმების შემდეგ მყიდველზე შესრულების რისკის გადასვლის მომენტამდე, ნასყიდობის საგანი არ არსებობს ან განადგურებულია გამყიდველის ყოველგვარი ბრალის გარეშე, ხელშეკრულება ბათილ გარიგებას განეკუთვნება. თუკი საქონელი ნადგურდება ან ზიანდება ნაწილობრივ, ისე რომ მისი ხარისხი/კომერციული თვისება არსებითად გაუარესდა, გარიგების გაბათილება უკვე მყიდველის არჩევანისა თუ ნების თავისუფლების სფეროს განეკუთვნება. სხვაგვარად, მყიდველს უფლება აქვს გარიგება მიიჩნიოს ბათილად ან შესრულებად მიიღოს საქონლის დაუზიანებელი ნაწილი და დარჩეს ვალდებულებით ურთიერთობაში გამყიდველთან განხორციელებული შესრულების პროპორციულად. სხენებულ სექციებში არსებული პირდაპირი მითითება რისკის გადასვლის მომენტზე, რაც შეთანხმებიდან ან/და მისი განმარტებიდან უნდა გამომდინარეობდეს, კიდევ ერთხელ თვალნათელს ხდის, თუ რა მნიშვნელობა აქვს უარყოფითი მოვლენის დადგომის რისკის მიკუთვნებადობას სამართლებრივი შედეგებისათვის. ამასთან, გარიგების გაბათილება შესრულების საგნის არარსებობის გამო ზოგად-სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს და მისი წინაპირობა შესაძლებელია იყოს, როგორც შესრულების შეუძლებლობა, ისე ორმხრივი შეცდომა გარიგების საფუძველში. იხ. Williston S., Law Governing Sales of Goods at Common Law and Under the Uniform Sales Act, NY, 1909, 190.

⁶² შეად. Francis B. T., Handbook of the Law of Sales, US, 1895, 196.

⁶³ Beatson J., Anson's Law of Contract, 28th ed., US, 2002, 541.

უკან დაბრუნების საკითხი. თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ ვადამოსული ვალდებულება არ შეიძლება გაქარწყლებულიყო და მხარეები მხოლოდ მომავალში შესასრულებელი ვალდებულებებისაგან უნდა გათავისუფლებულიყვნენ. შესაბამისად, უარყოფითი მოვლენის რისკი იმთავითვე აწვებოდა იმ მხარეს, რომელმაც პირველმა შეასრულა ვალდებულება. თუმცა შემდეგ განიმარტა, რომ მყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა ნებისმიერ შემთხვევაში უკან დაბრუნებას უნდა დაქვემდებარებოდა და აღნიშნული უნდა განხორციელებულიყო რესტიტუციის თაობაზე სარჩელის დაყენებით. თუმცა რესტიტუციის წინაპირობად განისაზღვრა ვალდებულების სრულად შეუსრულებლობა, რამაც რეგულირების მიღმა დატოვა ისეთი შემთხვევები, როდესაც გამყიდველმა ხარჯი გასწია შესრულების მიზნებისათვის ან საკუთრებაში დარჩა მისთვის გამოუყენებელი ნივთი ან/და მყიდველმა მიიღო შესრულების შენარჩუნებულ/დაუზიანებელი ნაწილი.⁶⁴ ამიტომაც, „ფრუსტრირებული კონტრაქტების შესახებ“ ინგლისის 1943 წლის აქტი⁶⁵ უკვე ამკვიდრებს უსაფუძვლო გამდიდრების დაუშვებლობის შესახებ პრინციპს. ეს აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ფრუსტრირებამდე განხორციელებულ მოქმედებას განსაზღვრული სარგებელი მოაქვს რომელიმე მხარისათვის. კერძოდ, რესტიტუციაზე ვალდებულ პირს, თავის მხრივ, უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი განეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ამ დროს შესაძლებელია, განხორციელდეს ვადამოსული მოთხოვნების ურთიერთგაქვითვაც. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შესრულების შეუძლებლობის დროს ერთ-ერთ მთავარ მიზანს სწორედ მხარეთა ინტერესების დაბალანსების უზრუნველყოფა წარმოადგენს.⁶⁶

გსკ-ის 446-ე პარაგრაფის – „რისკისა და ვალდებულებების გადასვლა“ – მიხედვით, გაყიდული ნივთის გადაცემასთან არის დაკავშირებული ნივთის შემთხვევით განადგურებისა და შემთხვევით გაუარესების რისკის გადასვლა. სხვაგვარად. მას შესრულების საფრთხე/რისკი ჰქვია. გადაცემა ნიშნავს ნივთის მყიდველისათვის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემას და ამ შემთხვევაში არ მოიაზრებს არაპირდაპირი მფლობელობის მინიჭებასაც. ამასთან, თუ მოვალეს შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე შესრულების შეუძლებლობის მიზეზით, 275-ე პარაგრაფის შესაბამისად, მაშინ 326-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, მას აღარ აქვს საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორის მიმართ. ეს ნიშნავს იმას, რომ შესრულების პროცესში დამდგარი უარყოფითი მოვლენის მიმართ მოვალეა რისკის მატარებელი. ამასთან, როგორც ანგლო-ამერიკულ, ისე გერმანულ სამოქალაქო სამართალში შესრულების შეუძლებლობის იდენტიფიცირება ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული საგნის მიმართ დგება და გამყიდველი მოვალეა ნებისმიერი ხერხით შეასრულოს ვალდებულება, თუ საგანი გვარონული ნიშნით იდენტიფიცირებული ნივთია. შესრულების რისკის გადასვლა განსაკუთრებით აქტუალურია პირობადებული საკუთრების შექმნისას, როდესაც ნივთის გადაცემასა და საფასურის სრულად გადახდას შორის დროის განსაზღვრული ინტერვალია.⁶⁷ ასევე, გადაცემისათ-

⁶⁴ *Beatson J., Anson's Law of Contract, 28th ed., US, 2002, 534.*

⁶⁵ *The Frustrated Contracts Act, 05/08/1943, <http://www.bclaws.ca/civix/document/id/complete/statreg/96166_01>, [01.01.2018].*

⁶⁶ *Beatson J., Anson's Law of Contract, 28th ed., US, 2002, 558.*

⁶⁷ *კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანია თ., ზეზელაშვილი ზ. (თარგმ.), ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ. (რედ.), თბ., 2014, 341.*

ვის საჭირო დროის ფაქტორით უნდა აიხსნას ნივთის გაგზავნისას რისკის გადასვლის საკითხის ცალკე მონესრიგება. კერძოდ, მყიდველის მოთხოვნით ნივთის სხვა ადგილას გაგზავნისას შესრულების რისკი მყიდველზე უფრო ადრიდან გადადის – შუალედური რგოლისათვის გამყიდველის მიერ ნივთის ჩაბარების მომენტიდან. მაშასადამე, სადაც არ არის შეთანხმება ნივთის სხვა ადგილას გაგზავნის შესახებ, რისკი მყიდველზე გადადის მხოლოდ მისთვის პირდაპირ მფლობელობაში ნივთის გადაცემის მომენტიდან. ამასთან, ნივთის სხვა ადგილას გაგზავნაზე მითითება საგამონაკლისო შემთხვევაა, რადგან ნივთის მიწოდება/მიტანა შესრულების ადგილას რისკის გადასვლის ჩვეულებრივ წესს უნდა დაექვემდებაროს. ასევე, საინტერესოა, რომ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, გადამზიდავი არ ჩაითვლება შესრულების დამხმარე პირად, თუნდაც ნასყიდობის საგანი გამყიდველის თანამშრომელს გადაჰქონდეს და ამ დროს ნივთი შემთხვევით განადგურდეს. გადამზიდავის ბრალეულობის შემთხვევაშიც კი, გამყიდველს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მისი, როგორც შესრულების დამხმარე პირის ქმედებისათვის, რადგან სახეზეა გაგზავნის ვალდებულება, რაც ნიშნავს იმას, რომ გამყიდველი თავისუფლდება შესრულების რისკისაგან ნივთის „გადამზიდავისათვის“ ჩაბარების მომენტიდან.⁶⁸ შესრულების რისკის გადასვლის მიზნისათვის, ნივთის გადაცემას უთანაბრდება შემთხვევა, როცა მყიდველი აცილებს შესრულების მიღების ვადას. გერმანული გადანყვეტის ანალოგიურ დათქმებს შეიცავს ქართული სამოქალაქო კოდექსი ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებების მომნესრიგებელ მუხლებში.⁶⁹ ამ კონტექსტში საინტერესოა სსკ-ის 402-ე მუხლი, რომელიც განამტკიცებს მოვალის პასუხისმგებლობას ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შედეგებისათვის. კერძოდ, მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში, ის პასუხისმგებელია ყოველგვარ უარყოფით შედეგზე, მათ შორის, ვადის გადაცილებით გამომწვეული შესრულების შეუძლებლობის/შემთხვევით დამდგარი ზიანისათვის. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის გათვალისწინებით, მოვალის მკაცრი პასუხისმგებლობა მის ბრალეულ ქცევას უკავშირდება, რადგან დათქმულ ვადაში ვალდებულების არაბრალეული შეუსრულებლობა მოვალის მიერ ვადის გადაცილებად საერთოდ არ იდენტიფიცირდება. შესაბამისად, მოვალეს მიეკუთვნება ვადის გადაცილების ყველა უარყოფითი შედეგის დადგომის რისკი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამდგარ ზიანსა და ვადის გადაცილებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არარსებობას დაამტკიცებს. აღნიშნული გამომდინარეობს ასევე სსკ-ის 394.1 მუხლიდან, თუმცა მოყვანილ შემთხვევაში კანონმდებელი აქცენტს აკეთებს ვადის გადაცილებისას დამდგარი შედეგების ამ გადაცილებიდან გამომდინარეობის აუცილებლობაზე.

4. დისპოზიციური ნორმების მეშვეობით ხელშეკრულების განმარტების სირთულე

სამართლის ნორმების დაყოფა დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმებად დამკვიდრებულია როგორც ვეროპული, ისე პრეცედენტული სამართლის სისტემის ფარგლებში. იმპერატიუ-

⁶⁸ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანია თ., ზეზელაშვილი ზ. (თარგმ.), ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ. (რედ.), თბ., 2014, 343.

⁶⁹ იხ. სსკ-ის 482-ე და 651-ე მუხლები.

ლი ნორმები, რომლებიც უპირატესად სახელშეკრულებო ბალანსის უზრუნველყოფას ისახავენ მიზნად, იმავდროულად, ხელშეკრულების თავისუფლების შემზღუდავი ნორმები არიან. ეკონომიკური ანალიზის მიმდინარეობა განსაკუთრებულად შეისწავლის დისპოზიციური ნორმების გამოყენების საკითხს. ამ ნორმების შერჩევის მთავარ კრიტერიუმად სახელდება ნება, რომელიც სავარაუდოდ უნდა ჰქონოდათ მხარეებს ხელშეკრულების დადების დროს. ეს ნორმები ერთგვარად სტანდარტულ პირობათა ნაირსახეობადაც განიხილება. თუმცა აქტუალური რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მდგრადია კონცეპტუალურად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა სავარაუდო ერთობლივი ნების განსაზღვრა. ხელშეკრულების შედგენა და მისი აღსრულება სახელშეკრულებო სამართლის საკვანძო ეტაპებია. ამ პროცესში შესაძლო პრობლემების განჭვრეტა და დამცავი მექანიზმების სრულად გათვალისწინება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

4.1. ხელშეკრულების განმარტების ეკონომიკური ანალიზი

ეკონომიკური ანალიზის ფარგლებში კითხვა ისმება იმის შესახებ, განსახილველ ვითარებაში თუ რა მოწერიგებას ამჯობინებდა მომლაპარაკებელ პირთა უმრავლესობა. ანგლო-ამერიკულ სამართალში არსებობს ე. წ. სანქციის შემცველი დისპოზიციური ნორმა, რომელიც არ შეიცავს ქცევის შემოთავაზებულ მოდელს. ამის მაგალითია აესკ-ის სამართლებრივი გადანყვეტა,⁷⁰ რომლის თანახმად, თუკი მხარეებს არ აქვთ შეთანხმებული შესრულების საგნის რაოდენობა, ეს ხელშეკრულება არააღსრულებადია. ამდენად, ამ ხარვეზის გამოსწორების/განმარტების შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული. გამოდის, რომ საქმე შეეხება ხელშეკრულების არსებობისათვის განმსაზღვრელ სახელშეკრულებო პირობას. ამ კონტექსტში პარალელი უნდა გაივლოს სსკ-ის 53-ე მუხლთან, რომლის მიხედვით, გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი. შესრულების საგნის რაოდენობის განუსაზღვრელობასთან დაკავშირებულ შედეგს შესაძლოა, მოწმობდეს სსკ-ის 477-ე მუხლის მე-3 ნაწილიც, რომელშიც მხოლოდ განსაზღვრად ფასზეა საუბარი. ასეთი მიდგომა გამართლებულია იმ მოსაზრებით, რომ სასამართლოსათვის რთული და ხარჯებთან დაკავშირებულია იმის დადგენა, თუ რა წარმოადგენს შესრულების საგნის გონივრულ რაოდენობას. ამდენად, ხელშეკრულების მინიმალისტური განსაზღვრულობა მისი არსებობის წინაპირობად წარმოადგება.

იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის პირობა *ex ante* არ იქნა განსაზღვრული, ხელშეკრულება უნდა შეივსოს მის გაფორმებამდე არსებული უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც გამორიცხავს არაკეთილსინდისიერ ქცევას. რამდენადაც ხელშეკრულების სიცოცხლის მანძილზე შესაძლო მოვლენათა/გარემოებათა წინასწარ განსაზღვრისა და შეფასების ხარჯი შეუსაბამოდ მაღალია, ბუნებრივია, ხელშეკრულების შემდეგში განმარტება ხდება საჭირო. ასე რომ, მისაღებია თეზა — „შევთანხმდით, რომ ვერ შევთანხმდით“.⁷¹ ეკონომიკური ანალიზის

⁷⁰ იხ. აესკ-ის § 2.201.

⁷¹ Posner R. A., The Law and Economics of Contract Interpretation, The Chicago Working Paper Series, Vol. 83:1581, 2004, 5.

მიხედვით, ხელშეკრულების განმარტების წინაპირობებია: რისკის მიმართ მხარეთა ნეიტრალურობა, სიმეტრიული ინფორმაციულობა, ყველა შესაძლო ბუნდოვანებაზე მოლაპარაკების შესაძლებლობა და დამატებითი ხარჯების არარსებობა. აუცილებელია მხარეთა ნების დადგენა იმის თაობაზე, თუ სად დაკონკრეტდნენ და სად, რადენად ფართო ნორმები დატოვეს. შესაბამისად, განმარტება საჭირო ხდება არა მარტო იმ მიზეზით, რომ ხარვეზი შეივსოს, არამედ იმიტომაც, რომ მხარეები ამას იმთავითვე შესაძლებლად მიიჩნევენ, ტოვებდნენ რა ღია სივრცეს განმარტებისათვის.⁷²

ანგლო-ამერიკული სამართლის სივრცეში გამოიყოფა განმარტების ოთხი ძირითადი მეთოდი:⁷³ „ოთხი კუთხის“ პრინციპი, ორმხრივი შეცდომის პრინციპი, ოფერენტის სანინაალმდეგო განმარტების პრინციპი და ხელშეკრულებიდან გამომდინარე მტკიცებულების დაუშვებლობის⁷⁴ პრინციპი. ეკონომისტებმა სასამართლოებს ხელშეკრულების განმარტების რამდენიმე მიდგომა შესთავაზეს: პირველი – „უმრავლესობის დეფოლტი“ – მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მნიშვნელობა, რაც მოცემულ გარემოებებში იქნებოდა მისაღები საშუალოდ, მსგავსი ხელშეკრულების მხარეებისათვის. ეს უახლოვდება განმარტებას სავაჭრო ჩვეულების/საქმიანი ტრადიციის გათვალისწინებით. მეორე – „საჯარიმო დეფოლტი“ (ნაკლებად პრიორიტეტული განმარტება) – უნდა მოიძებნოს ის მნიშვნელობა/განმარტება, რომელიც შემთხვევათა უმრავლესობაში არ იქნებოდა მხარეთა მიერ გათვალისწინებული. ეს მიდგომა ორ სტიმულს განაპირობებს: მხარეები ცდილობენ მეტად ნათელი გახადონ კონტრაქტის პირობები და მეორე – მხარეები მაქსიმალურად გახსნილად თანამშრომლობენ და ამჟღავნებენ მათთვის ცნობილ ინფორმაციას. აღნიშნული უახლოვდება სიტყვასიტყვით, ანუ ლიტერალურ, განმარტებას. მესამე – უნდა მოხდეს იმის განსაზღვრა, თუ რომელი განმარტებაა მოცემულ გარემოებებში ყველაზე ხელსაყრელი მხარეთათვის, მიუხედავად იმისა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო უმრავლესი მხარის პოზიცია. ამ შემთხვევაში შეფასებას ექვემდებარება კონკრეტულ მხარეთა მოლოდინები. სასამართლო განმარტავს გარემოებას/ვითარებას კონკრეტული ხელშეკრულებისათვის და არა მსგავს ხელშეკრულებათა უმეტესობისათვის. უნდა ითქვას, რომ რთულია განსაზღვროს ის მაჩვენებლები, რაც ხსენებული წესების ეფექტიანობას და შედეგის რაციონალურობაზე მიუთითებს.⁷⁵

იმ პირობებში, როდესაც მხარეები გონივრულნი და სრულად ინფორმირებულნი არიან, მიზანმიმართულად აყალიბებენ სახელშეკრულებო პირობებს, რათა გაითვალისწინონ ყველა შესაძლო შედეგი. ეკონომიკურად ეს ექვილიბრიუმის მდგომარეობაა, როდესაც არცერთ მხარეს აქვს ინტერესი თავი აარიდოს სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმებას და ბუნდოვანების შედეგად გაიუმჯობესოს მდგომარეობა კონტრაქტის ხარჯზე. ამასთან, ხელშეკრულების დეტალურად შედგენის ხარჯმა შესაძლოა, გადააჭარბოს მისგან გამომდინარე სარგებელს, რაც

⁷² *Shavell S.*, On the Writing and the Interpretation of Contracts, *The Journal of Law, Economics and Organization*, Vol. 22, 2006, 290.

⁷³ იხ. დეტალურად: *Posner R. A.*, *The Law and Economics of Contract Interpretation*, *The Chicago Working Paper Series*, Vol. 83:1581, 2004, 1.

⁷⁴ *Smeenk B. P.*, *Ambiguities and Extrinsic Evidence*, *Advocates' Quarterly*, Vol. 12, 1990, 237.

⁷⁵ *Posner E. A.*, *Economic Analysis of Contract Law After Three Decades: Success or Failure?*, *U Chicago Law And Economics*, *Olin Working Paper*, № 146, 2002, 14.

ასევე გასათვალისწინებელია. *Ex ante* საკითხის დაურეგულირებლობა *ex post* განაპირობებს მხარეთა შორის დისონანსს შეთანხმებულ უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით. და მაშინ, რა დამატებითი უფლება-მოვალეობები შეიძლება დაეკისროთ მხარეებს? ტრადიციული პასუხი ამ საკითხზე შემდეგია: *ex post* მხარეს შესაძლოა დაეკისროს მხოლოდ ის უფლება-მოვალეობები, რაზეც ის *ex ante* გონივრულად დათანხმდებოდა, შესაძლო ვითარება რომ გაეთვალისწინებინა. აღნიშნულს ეწოდება „ჰიპოთეტური კონტრაქტის თეორიის“ პრინციპი – ეს ის კონტრაქტია, რომელზეც მხარეები შეთანხმდებოდნენ *ex ante*, შეთანხმების ხარჯებს რომ ირაციონალური არ გაეხადა ამგვარი დეტალიზება.⁷⁶ ჰიპოთეტური კონტრაქტირების თუ თანხმობის თეორიის თანახმად, მხარეებს ისევე უნდა დაეკისროთ შესაბამისი ვალდებულებები/პასუხისმგებლობა, როგორც ამკარად გამოხატული თანხმობის ეს შემთხვევაში იქნებოდა, რადგან მათ იმთავითვე დაუშვეს აღნიშნული. პრობლემა ისაა, რომ მხარეებს დამატებითი ვალდებულებები ხელშეკრულების დადების შემდეგ მათგან დამოუკიდებლად ეკისება. თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტიანობის აუცილებლობის სასარგებლოდ მეტყველებს უტილიზაციისა და კონსენსუსის შესახებ ეკონომიკური არგუმენტები. საბოლოოდ, ჰიპოთეტური თანხმობის/კონტრაქტირების თეორია არსებითად სწორედ რაციონალურ თვითინტერესს ეხმიანება. ეკონომიკურ ანალიზში მიიჩნევა, რომ ხელშეკრულების სხვადასხვა ეტაპი რაციონალურობის განსხვავებულ ხარისხს მოითხოვს და შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს ბუნდოვანების წინააღმდეგ მიმართული ზომებიც. ხელშეკრულების განმარტების ზემოთ აღნიშნული მიდგომები ნათელყოფს, თუ რამდენად პრიორიტეტული შესაძლოა, გახდეს სახელშეკრულებო პირობების განმარტების პრაქტიკულ შედეგზე ორიენტირებული მეთოდიკა, განსხვავებით კლასიკური მსჯელობისაგან ნების გამომვლენის შინაგანი ნებისა და ნების გამოვლენის ადრესატის აღქმის ურთიერთდაპირისპირების შესახებ, როცა საბოლოოდ აღიარებულია ნების გამოვლენათა ურთიერთქმედების გარდუვალობა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სივრცისათვის დამახასიათებელი მიდგომით, განმარტებადია მხოლოდ ის ხელშეკრულება, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ან ირიბად მოიაზრებს ამა თუ იმ პირობის განსაზღვრის შესაძლებლობას. სხვა შემთხვევაში ხელშეკრულება არ არსებობს, ანუ აღუსრულებელია. ამდენად, სამართლის მაქსიმა აქ არის ის, რომ განმარტებას ექვემდებარება მხოლოდ ის, რაც განსაზღვრადია.⁷⁷ საინტერესოა, რომ სსკ-ის 327.1 მუხლში გამყარებული თეზა არსებით პირობებზე – შეთანხმების აუცილებლობის შესახებ, ეხმიანება გამოთქმულ მაქსიმას. ამასთან, ყველა ის კრიტერიუმი, რაც ნების გამოვლენის განმარტებისათვის მნიშვნელოვანია და სასამართლო პრაქტიკაში ვითარდება – მათ შორის, მოლაპარაკების პროცესის მიმდინარეობის მნიშვნელობა, სავაჭრო ჩვეულებების არსებობა და მათი შინაარსი, გონივრულობის ზოგადი სტანდარტი, უკვე განხორციელებული ტრანზაქციები და სხვ. – ქართული კოდექსის ცალკეულ ნორმებში პოვებს ასახვას.⁷⁸

⁷⁶ Coleman J. L., Heckathorn D. D., Maser S. M., A Bargaining Theory Approach to Default Provisions and Disclosure Rules in Contract Law, Harvard Journal of Law and Public Policy, Vol. 12, № 3, 1989, 640.

⁷⁷ Beatson J., Anson's Law of Contract, 28th ed., US, 2002, 60.

⁷⁸ იხ. სსკ-ის 52-ე, 337-ე-340-ე მუხლები.

4.2. ხელშეკრულების განმარტების ფარგლები — წესი ზეპირი მტკიცებულების დაუშვებლობის შესახებ (*Parol/Extrinsic Evidence Rule*)

ხელშეკრულების/ნების გამოვლენის განმარტებისას კითხვა ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ან რა მოცულობის უფლება-მოვალეობები თუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხარეს სასამართლოს მიერ. ამ უკანასკნელმა უნდა განსაზღვროს უფლება-მოვალეობების ის წრე, რომელზეც მხარეები გონივრულად შეთანხმდებოდნენ შესაბამისი მოლაპარაკების წარმართვის შემთხვევაში. ამდენად, როდესაც დეტალური კონტრაქტის გაფორმება მხარეთათვის გაუმართლებლად დიდ ხარჯს უკავშირდება, მოცემული ტვირთი უკვე გადადის სასამართლოზე, რომელიც ხელშეკრულებას დისპოზიციური ნორმების მეშვეობით განმარტავს და ე. წ. ჰიპოთეტურ ხელშეკრულებას აყალიბებს. ხელშეკრულების დადების პროცესთან დაკავშირებული ხარჯისა თუ რისკის შემცველი ყველა გარემოების წინასწარ განჭვრეტის შეუძლებლობის გამო, ეკონომიკური ანალიზის თვალსაზრისით, ხელშეკრულებები არასრულია და მხარეები იმთავითვე უშვებენ მათი შევსების/განმარტების შესაძლებლობას საქმიან ჩვეულებებსა თუ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ეკონომიკური ანალიზის მიხედვით, განმარტების შედეგად მიღებულ უნდა იქნეს *Pareto-Optimal Contract*⁷⁹ – ხელშეკრულება, რომელზედაც შეთანხმდებოდნენ მხარეები ტრანზაქციის დამატებითი ხარჯის არარსებობის პირობებში.

ხელშეკრულების განმარტების მიზნისათვის მნიშვნელოვანია წესი, რომლის მიხედვითაც, მხარეს არ ჰქონდა უფლება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა წინასახელშეკრულებო ეტაპიდან მომდინარე რაიმე ზეპირი ფორმით გაკეთებული დათქმა, განმარტება თუ ჩვენება და ამით ეჭვქვეშ დაეყენებინა ხელშეკრულების საბოლოო დოკუმენტში ასახული პირობები – *Parol Evidence Rule*.⁸⁰ აღნიშნული წესი შემდგომში გამოყენებული იქნა ასევე წერილობითი მტკიცებულების მიმართაც. ამდენად, აქცენტი გაკეთდა შეთანხმების პირვანდელ ხასიათზე და არა მის ფორმაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ გვიან მიღწეული შეთანხმება უპირატესია ადრინდელთან შედარებით. ცხადია, შეზღუდვა არ შეიძლება შეეხებოდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაკეთებულ შეთანხმებებს. სხვაგვარად, ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში დღის წესრიგში დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს მხარეთა ადრე გაკეთებული განმარტებები/შეთანხმებები მათ მიერ საბოლოოდ ჩამოყალიბებულ დოკუმენტზე. მოყვანილი წესი, მისი უპირობოდ გამოყენების შემთხვევაში, მნიშვნელოვან ბარიერად იქცა სასამართლოსათვის საბოლოო ხელშეკრულების განმარტების პროცესში.⁸¹ ამიტომაც იქნა მიჩნეული, რომ ხელშეკრულება ადრინდელ პირობებს უგულვებლყოფს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი წინააღმდეგობრივია და მათი გაუქმების შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული საბოლოო

⁷⁹ *Pareto-Optimal* ნიშნავს ვითარებას, როდესაც ერთი პირი ვერ იქნება თავისი რესურსის გამოყენებით უკეთეს მდგომარეობაში სხვა პირის მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე. იხ. *Gordon D., An Introduction to Economic Reasoning, Alabama, 2000, 183.*

⁸⁰ სიტყვა *Parol* ნიშნავს ნათქვამს (ინგლისურ ენაზე — *Spoken*, ფრანგულ ენაზე — *Parler*). იხ. *Corbin A., The Parol Evidence Rule, The Yale Law Journal, Vol. 53(4), 1944, 610.*

⁸¹ იქვე.

ხელშეკრულებაში. ამდენად, ვიდრე ხელშეკრულება თავისი ჩამოყალიბებული შინაარსით არ არის შეთანხმებული, მოცემული წესის გამოყენება საფუძველს მოკლებული ხდება. ის მოქმედებას იწყებს მას შემდეგ, რაც სასამართლო გამოკვეთს აღსასრულებელ პირობებს განსახილველი მომენტისათვის. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მტკიცებულების დაუშვებლობის წესი არ უნდა იყოს გამოყენებული ხელშეკრულების განმარტების პროცესში, რადგან წინამორბედ გარემოებებს, რიგ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, განმარტების მიზანი ხელშეკრულების შინაარსის დაზუსტებაა და არა მისი შეცვლა ან მასთან წინააღმდეგობაში მოსვლა. მტკიცებულების დაუშვებლობის წესი არ გამოიყენება ასევე არსებითი შეცდომის, გავლენის ბოროტად გამოყენების მტკიცებისას და პირობითი ხელშეკრულებების მიმართ.⁸² ეკონომიკური ანალიზის ფარგლებში ცალკე მსჯელობის საგანია, თუ ვინ უნდა დაუშვას ასეთი მტკიცებულება – სასამართლომ თუ მხარეებმა. ასევე, ცალკე საკითხია ხელშეკრულების განმარტების პროცესის მხარეთა მიერ გაკონტროლების შესაძლებლობის არსებობა. კერძოდ, ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით, შესაძლოა, გამართლებული იყოს, რომ მხარეებმა განსაზღვრონ, რომელი სახელშეკრულებო პირობა დარჩეს განმარტების მიღმა. ამასთან, წინასახელშეკრულებო პერიოდის მტკიცებულების განხილვა, როგორც წესი, ძვირადღირებული პროცესია. შესაბამისად, რამდენად ეფექტიანია სამართალწარმოების პროცესში ამ ეტაპის შესწავლა, ცალკე შეფასებას საჭიროებს. ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა, პრაქტიკული იყოს მხარეთათვის განმარტების პროცესზე ერთგვარი კონტროლის შესაძლებლობის მინიჭება, რათა უშუალოდ განსაზღვრონ, რამდენად უნდა იყოს განხილული ესა თუ ის მტკიცებულება.⁸³

5. მესამე პირი შესრულების პროცესში

შესრულების პროცესის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მესამე პირის ჩართულობა შესრულების პროცესში. მოცემული თავი ეთმობა შესრულების პროცესში მესამე პირის მიერ განხორციელებული ქმედების შეფასებას. რა რისკი ახასიათებს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების პროცესში მესამე პირის გამოყენებას და რას უკავშირდება მისი სათანადოდ შერჩევის ვალდებულება? რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება მესამე პირის დაუდევრობით დამდგარ უარყოფით შედეგს?

ანგლო-ამერიკული სამართლის სივრცეში არსებული დოქტრინები, ხელშეკრულების პრივატულობის თუ შემხვედრი დაკმაყოფილების შესახებ, მნიშვნელოვნად ზღუდავდა სახელშეკრულებო ურთიერთობის მიღმა მესამე პირის მონაწილეობის შესაძლებლობას. თუმცა შემდეგ, 1999 წლის აქტით – „ხელშეკრულებების („მესამე პირთა უფლებების“⁸⁴) შესახებ“, ეს დაშვებულ იქნა იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება პირდაპირ თუ ირიბად მოიაზრებდა

⁸² Evidence, Outlines, 2016, 29-30, <http://www.lexisnexis.com/documents/pdf/20160617015319_large.pdf>, [01.01.2018].

⁸³ *Shavell S.*, On the Writing and the Interpretation of Contracts, *The Journal of Law, Economics and Organization*, Vol. 22, 2006, 310.

⁸⁴ Contracts (Rights of Third Parties) Act, 11/11/1999, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1999/31/pdfs/ukpga_1999-0031_en.pdf>, [01.01.2018].

აღნიშნულ შესაძლებლობას. მართალია დღესაც სასამართლო პრაქტიკაში სირთულეებთან არის დაკავშირებული მესამე პირის მიმართ ხელშეკრულების პირობების გავრცელების საკითხი, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ასეთ გადაწყვეტას შესაძლოა, თვითონ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს.⁸⁵

განსაკუთრებით აქტუალურია მესამე პირის მონაწილეობის საკითხი შესრულების საგნის გადაცემისას. ამ დროს მოვალისათვის რისკი უკავშირდება მესამე პირის მიერ შესრულების საგნის გადაცემას, რადგან მესამე პირის ბრალით დამდგარი უარყოფითი შედეგი მოვალის ქცევასთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორს განეკუთვნება. ცალკე უნდა გამოიკვეთოს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან გამორიცხვის საკითხი, რადგან აღნიშნულის თაობაზე დათქმის გაკეთებისას, მოვალემ მის ქვეშ შესაძლოა, მოაქციოს ის სუბიექტიც, რომელიც ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენს, მაგრამ მონაწილეობს შესრულების პროცესში. საინტერესოა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი დამხმარე მესამე პირი ამგვარი დათქმით არ არის დაცული, იგი სარგებლობს ერთგვარი რეგრესის უფლებით (ანაზღაურების მიღების უფლება) მოვალის მიმართ.⁸⁶

ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, როგორც მესამე პირის დაუდევარი ქცევით, ისე ობიექტურად განპირობებული უარყოფითი შემთხვევის დადგომისას, რისკის მატარებელ სუბიექტს წარმოადგენს მოვალე. განსახილველ შემთხვევაში, ყურადღების საგანია მხოლოდ იმ კატეგორიის მესამე პირი, რომელიც რაიმე სახით ინაწილებს მოვალესთან შესასრულებელ მოქმედებას. გსკ-ის 278-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულებაში დამხმარე პირის მოქმედება იგივე მოვალის ქმედებად განიხილება, თუმცა, ფაქტობრივად, სახეზეა მოვალის პასუხისმგებლობა სხვა პირის მოქმედებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ამავე კოდექსის 831-ე პარაგრაფი ცალკე გამოყოფს დავალების შემსრულებლის, იგივე წარმომადგენლის შემთხვევას და მოვალის მიმართ პასუხისმგებლობას აფუძნებს დავალების შემსრულებლის შერჩევის პროცესში გამოვლენილ არასაკმარის წინდახედულობასა და ამდენად, მოვალის ბრალეულ ქმედებაზე. ანგლო-ამერიკულ სამართალში აღნიშნული წარმოდგენილია მარწმუნებელი პირის უპირატესობის შესახებ კონცეფციით,⁸⁷ რომლის საფუძვლად არსებული ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპი ეკონომიკური ანალიზითაც საბუთდება. კერძოდ, მიიჩნევა, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ პირს, რომელსაც ნაკლები დანახარჯით ძალუძს შეცდომის თუ უარყოფითი შედეგის თავიდან არიდება.

შესრულების დამხმარე პირად განიხილება მოვალის სურვილით შესრულების პროცესში ჩართული სუბიექტი. მათ შორის, ასეთი შეიძლება იყოს რკინიგზა, ფოსტა თუ სხვა ორგანიზაცია. როგორც აღინიშნა, ნებისმიერი ასეთი ჩართულობის შემთხვევაში, შეუსრულებლობის რისკის მატარებელ სუბიექტად უშუალოდ მოვალე განიხილება. მნიშვნელოვანია, რომ მწარმოებელი არ თავსდება ასეთი პირის ცნებასა და შესაბამის რეგულაციაში. ამასთან, გსკ-ის 278-ე

⁸⁵ Beatson J., Anson's Law of Contract, 28th ed., US, 2002,182.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ *Respondeat Superior — Let The Master Answer*, იხ. *Thompson S. D., Respondeat Superior*, 1879, 238, <<http://heinonline.org>>, [14.08.2018].

პარაგრაფი დასაშვებად მიიჩნევა შესრულებაში დამხმარე პირის განზრახი მოქმედებისათვის მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე წინასწარ შეთანხმებას, რაც თვითონ მოვალის ქმედების შემთხვევაში 276.3 პარაგრაფით გამოორიციხულია. შედარებისათვის საინტერესოა სსკ-ის ანალოგი 396-ე მუხლი, რომელიც მესამე პირის განზრახი მოქმედების შემთხვევაში, არ ითვალისწინებს წინასწარი შეთანხმების შესაძლებლობას მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ.

განსხვავებისათვის შესაძლოა, განხილული იყოს სსკ-ის 371-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში⁸⁸ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, უნდა მოიზარებდეს შესრულების პროცესში ჩართულ ხელშემწყობ მესამე პირსაც. ეს ნაწილი, ძირითადად, მესამე პირის ნებით სხვისი ვალდებულების შესრულების შემთხვევას არეგულირებს. რამდენად შესაძლებელია მესამე პირი მოვალის ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდეს, ამას ნათელყოფს ის, რომ კრედიტორს შეუძლია, არ მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია. ეს ფორმულირება აჩენს კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოტივი უნდა ამოძრავებდეს ერთ შემთხვევაში კრედიტორს მიიღოს შესრულება, ხოლო მეორე შემთხვევაში — მესამე პირს განახორციელოს შესრულება მოვალის ნების საწინააღმდეგოდ? გსკ-ის ანალოგიური 267-ე პარაგრაფის განმარტებაში⁸⁹ ასეთ მესამე პირად მოყვანილია მომსახურების გასაწევად დაქირავებული პირი, რწმუნებული, შემნახველი, საქმის მწარმოებელი პარტნიორი. ეს პირები შესაძლოა, თავისი ნებით ასრულებენ ე. წ. უცხო ვალდებულებას. ხოლო ნების კომპონენტის არარსებობის თუ შეცდომის დაშვების ვითარებაში, ასეთი მესამე პირისათვის გათვალისწინებულია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

მოქმედების მოტივთან დაკავშირებით პასუხი შედარებით ნათელია 372-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის ანალიზისას, როდესაც მესამე პირს ამოძრავებს კანონიერი უფლება/ინტერესი იმ ნივთის მიმართ, რომელსაც ემუქრება იძულებითი აღსრულება კრედიტორის მხრიდან. სახეზე უნდა იყოს მესამე პირის უფლებით დატვირთული ნივთი, რომელიც მოვალის საკუთრებაშია. მესამე პირის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების სამართლებრივი შედეგიც ლოგიკურია, რადგან რეგრესის წესით მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ, რაც არ შეიძლება ითქვას სხენებული 371-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის განხილვის დროს. მოვალის კონკრეტული შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება შესაძლოა, მასსა და მესამე პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის საგანს წარმოადგენდეს. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 371-ე/372-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მესამე პირი კონკრეტული სამართლებრივი ინტერესით მოქმედი სუბიექტია და არ წარმოადგენს მარტო შესრულების პროცესში ჩართულ სუბიექტს, რომელსაც იყენებს მოვალე თავისი ვალდებულების შესასრულებლად. შესაბამისად, ამ შემთხვევებზე არ უნდა გავრცელდეს სსკ-ის 396-ე მუხლით დადგენილი მოვალის ბრალის გარეშე პასუხისმგებ-

⁸⁸ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001, 302.

⁸⁹ კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანია თ., ზეზელაშვილი ზ. (თარგმ.), ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ. (რედ.), თბ., 2014, 142.

ლობის პრინციპი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მესამე პირი, დამოუკიდებლად მოვალისაგან, თვითონ უნდა წარმოადგენდეს შესრულების პროცესში აღმოცენებული უარყოფითი შედეგის რისკის მატარებელ სუბიექტს.

6. დასკვნა

სტატიაში, ძირითადად, წარმოდგენილია ვალდებულების შესრულების მიმდინარე და თანმდევი პროცესების ხედვა ეკონომიკური ანალიზის პოზიციიდან, რაც ტრადიციულ სამართლებრივ ხედვებთან შედარების შესაძლებლობას იძლევა. დასკვნის სახით შესაძლოა, გამოიყოს რამდენიმე საკითხი:

1. ეკონომიკური ანალიზი ხელშეკრულებაში მონაწილე სუბიექტის ქცევას აფასებს ინდივიდუალური სარგებლის მაქსიმიზატორის მოქმედებად მაშინ, როდესაც სამართლის ტრადიციული როგორც ანგლო-ამერიკული, ისე გერმანული დოქტრინებისათვის სამართლებრივი დაცვის უპირატესი სიკეთე მხარეთა ლეგიტიმური საერთო სახელშეკრულებო მოლოდინია;

2. ეკონომიკური ანალიზით, ერთმანეთისაგან იმიჯნება დისკრეტული და ფარდობითი სახის ხელშეკრულებები. ფარდობითი ხასიათის ხელშეკრულებაში ყველა მაჩვენებელი ცვალებადია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფასდება. ამასთან, განსხვავებით ტრადიციული ხედვისაგან, სადაც მხარისათვის შესრულების მისი ნაწილის დამახასიათებელი ჩვეული რისკის მიკუთვნება ხდება, ეკონომიკური ანალიზი გამოკვეთს გარემოებებს, რომლებიც პრინციპულად ცვლის რისკის განაწილების სტანდარტს. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს: შესრულების დროში განაწილვა, შემხვედრი დაკმაყოფილების არათანაზომიერება, ბუნდოვანება ან არარსებობა, მომხმარებლის მოთხოვნის ცვალებადობა, საქონლის წარმოების პროცესის სირთულე, ხელშეკრულების გაფორმებისა თუ ხელახალი მოლაპარაკების ხარჯის სიდიდე, მხარის ვინაობა და უფლებრივი/ეკონომიკური სტატუსი, ხელშეკრულების მართვის სირთულე, რისკის მიმართ მხარის დამოკიდებულება;

3. საშუალოდ გონიერი ადამიანის კონცეფცია, რომელიც აქტუალურად რჩება ტრადიციულ სამართლის დოქტრინებში და როგორც კანონმდებლის, ისე სასამართლოს საქმიანობაში წამყვანი კონცეფციაა სწორი ქცევის იდენტიფიცირების მიზნისათვის, ეკონომიკურ ანალიზში განსხვავებულ პრაქტიკულ დატვირთვას იძენს. აქ აშკარაა მცდელობა იმისა, რომ საშუალოდ გონიერი ადამიანის ცნება კეთილსინდისიერი ქცევის ზოგადი ვალდებულებისაგან გაიმიჯნოს და მეტად შეითავსოს ეკონომიკური რაციონალურობის ელემენტი;

4. ეკონომიკური ანალიზი სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში აჩენს მხარის ცალმხრივი დისკრეტული სახელშეკრულებო უფლებამოსილების ცნებას, რაც კარგად ვლინდება ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის პროცესში. ამ უფლებამოსილების წყაროა როგორც ხელშეკრულების პირველადი პირობები, ისე ვალდებულების დარღვევის შედეგები. ამასთან, ეკონომიკურ ანალიზში დასაშვებია მხარეთა ინტერესების ცვალებადი ბალანსის არსებობა, რადგან განვითარებული მოსაზრებით, სახელშეკრულებო პოზიციები მხოლოდ მოცემული მომენტისათვის არსებობს;

5. არსებითად შესრულების შესახებ კონცეფცია ეკონომიკური ანალიზის მოსაზრებების მნიშვნელოვნადაა გამომხატველი. მაგალითისათვის, ნაკლიანი შესრულების დროს ვალდებულება შესრულებულია არსებითად, თუკი ხარვეზის/დეფექტის აღმოფხვრის ხარჯი შესრულების სახელშეკრულებო ფასთან მიმართებით შეუსაბამოდ მაღალი არ არის. ამდენად, ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობა განხილულია გარემოებად, რომელიც გავლენას ახდენს შესრულების თავდაპირველ ღირებულებაზე და ზოგიერთ შემთხვევაში შესრულების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს მოვალეს. აღნიშნული კონცეფცია ეხმიანება ეკონომიკურ ანალიზში ცნობილ ეფექტიანი დარღვევის პრინციპს, რომლის მიხედვით, მოვალეს უნდა ჰქონდეს უფლება, არ შეასრულოს ვალდებულება და აანაზღაუროს კონტრაქტისთვის ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი;

6. რისკის შემცველი შემთხვევის რეალიზების შედეგად შექმნილი შესრულების შეუძლებლობის ვითარებაში განსაკუთრებით აქტუალურია სახელშეკრულებო ბალანსის შენარჩუნების საკითხი. ამ დროს ჩნდება კითხვა, თუ ვინ უნდა აიღოს საკუთარ თავზე შემთხვევის დადგომის რისკი და ეკისრება თუ არა ქონებრივი პასუხისმგებლობა რომელიმე მხარეს? შესრულების შეუძლებლობის კონცეფცია ერთ-ერთია, რომელიც რისკის დისტრიბუციის საკითხს უკავშირდება, რადგან დამპირებლის/მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება ნიშნავს რისკის დაპირების ადრესატზე გადატანას, ხოლო გათავისუფლებაზე უარის თქმა – ამ რისკის დამპირებლისათვის/მოვალისათვის მიკუთვნებას. ეკონომიკურად მისაღწევი მიზანი რისკის რეალიზების შედეგად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების უზრუნველყოფაა, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის რისკის საუკეთესოდ მატარებელი პირი. ამასთან, შესრულების შეუძლებლობის/ხელშეკრულების მიზნის მიუღწევადობის შესახებ ტრადიციული ანგლო-ამერიკული დოქტრინა თანხვედრაშია ხელშეკრულების ეკონომიკური ეფექტიანობის მიზანთან, რომელსაც ეკონომიკური ანალიზი ასაბუთებს.

7. ეკონომიკური ანალიზის ფარგლებში, ხელშეკრულების განმარტების ნინაპირობებია: რისკის მიმართ მხარეთა ნეიტრალურობა, სიმეტრიული ინფორმაციულობა, ყველა შესაძლო ბუნდოვანებაზე მოლაპარაკების შესაძლებლობა და დამატებითი ხარჯების არარსებობა. იმ პირობებში, როდესაც მხარეები რაციონალურები და სრულად ინფორმირებულები არიან, ისინი მიზანმიმართულად აყალიბებენ სახელშეკრულებო პირობებს, რათა ყველა შესაძლო შედეგი გაითვალისწინონ. ეკონომიკურად ეს ექვილიბრიუმის მდგომარეობაა. თუმცა ხელშეკრულების დეტალურად შედგენის ხარჯმა შესაძლოა, გადააჭარბოს მისგან გამომდინარე სარგებელს, რაც მხარეთათვის ღია ადგილების დატოვების აუცილებლობას წარმოშობს. მნიშვნელოვანია, რომ კლასიკური თეორია ჰიპოთეტური თანხმობის/კონტრაქტირების შესახებ არსებით თანხვედრაშია ეკონომიკური ანალიზით აპელირებულ რაციონალური თვითინტერესის დაცვის იდეასთან;

8. ეკონომიკური ანალიზი ავტონომიურ მნიშვნელობას ანიჭებს შესრულების პროცესის განმაპირობებელ რიგ ფაქტორებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია შესრულების პროცესში მესამე პირის მონაწილეობის საკითხი. შესრულებაში ჩართული მესამე პირის ბრალით დამდგარი უარყოფითი შედეგი მოვალის ქცევასთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორს განეკუთვნება. მესამე პირის დაუდევრობით თუ ობიექტურად განპირობებული უარყოფითი შემთხვევის დადგომისას,

შესაბამისი რისკისა და პასუხისმგებლობის მატარებელ სუბიექტად უფლებამოსილების მიმნიჭებელი/მოვალე რჩება. პირველ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების დამხმარე პირის/წარმომადგენლის მოქმედება იგივე მოვალის მოქმედებად განიხილება, ხოლო მეორე შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მესამე პირი არ შეიძლება იყოს შესრულების ობიექტურად დამაბრკოლებელ გარემოებაზე პასუხისმგებელი. ეკონომიკური ანალიზის მიხედვითაც, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პირს, რომელსაც შედარებით ნაკლები დანახარჯით ძალუძს შეცდომისა თუ უარყოფითი შედეგის თავიდან აცილება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ დღეისათვის, გართულებული სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობები განსხვავებულ ქრილში, ეკონომიკური კონცეფციებისა თუ კატეგორიების მიხედვით განიხილება. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოქმედი სამართლის ინსტიტუტების ეფექტიანობისა და სოციალური მნიშვნელობის დადგენას და საკანონმდებლო თუ სასამართლო დონეზე შეფასებისა და გადაწყვეტის ახალი გზების დასახვას.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა უწყებანი, № 31, 24/07/1997.
2. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 83.
3. კროპჭოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანია თ., ზეზელაშვილი ზ. (თარგმ.), ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ. (რედ.), თბ., 2014, 264, 150, 341, 343, 142.
4. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელ-შეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 351.
5. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001, 517, 302, 371.
6. Contracts (Rights of Third Parties) Act, 11/11/1999, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1999/31/pdfs/ukpga_19990031_en.pdf>.
7. German Civil Code BGB, Federal Ministry of Justice and Consumer Protection in cooperation with juris GmbH, 18/08/1896, <<http://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Alemao-BGB-German-Civil-Code-BGB-english-version.pdf>>.
8. Sale of Goods Act, 06/12/1979, <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/1979/54>>.
9. The Frustrated Contracts Act, 05/08/1943, <http://www.bclaws.ca/civix/document/id/complete/stat-reg/96166_01>.
10. Uniform Commercial Code, 1952, <<https://www.law.cornell.edu/ucc>>.
11. Uniform Sales Act, 01/01/1906, <<http://source.gosupra.com/docs/statute/221>>.
12. Anson W. R., Corbin A., Arthur L., Principles of the Law of Contract with a Chapter on the Law of Agency, NY, 1924, 3, 8, 530.
13. Arnsperger C., Varoufakis Y., What is Neoclassical Economics? The Three Axioms Responsible for its Theoretical Oeuvre, Practical Irrelevance and, thus, Discursive Power, Savez ekonomista Vojvodine, Vol. 53(1), 2005, 6.

14. *Beatson J.*, Anson's Law of Contract, 28th ed., US, 2002, 3, 510, 514, 507, 530, 541, 534, 558, 60, 182.
15. *Coase R. H.*, The Nature of the Firm, *Economica*, New Series, Vol. 4, № 16, 1937, 394.
16. *Coleman J. L., Heckathorn D. D., Maser S. M.*, A Bargaining Theory Approach to Default Provisions and Disclosure Rules in Contract Law, *Harvard Journal of Law and Public Policy*, Vol. 12, № 3, 1989, 640.
17. *Corbin A.*, The Parol Evidence Rule, *The Yale Law Journal*, Vol. 53(4), 1944, 610.
18. Evidence, Outlines, 2016, 29-30, <http://www.lexisnexis.com/documents/pdf/20160617015319_large.pdf>.
19. *Francis B. T.*, Handbook of the Law of Sales, US, 1895, 196.
20. *Gordon D.*, An Introduction to Economic Reasoning, Alabama, 2000, 183.
21. *Rommen H. A.*, Natural Law: A Study in Legal and Social History and Philosophy, *Hanley Th. R.* (trans.), US, 1998, 71.
22. *Kornhauser L.*, The Economic Analysis of Law, *Stanford Encyclopedia of Philosophy*, 2001, 2, <<https://plato.stanford.edu/entries/legal-econanalysis/>>.
23. *Lowisch M.*, New Law of Obligations in Germany, *Ritsumeikan Law Review*, № 20, 2003, 17.
24. *Macneil I. R.*, Efficient Breach of Contract: Circles in the Sky, *Virginia Law Review*, Vol. 68, № 5, 1982, 947.
25. *Macneil I. R.*, Economic Analysis of Contractual Relations: Its Shortfalls and the Need for a Rich Classificatory Apparatus, *Northwestern University Law Review*, Vol. 75, № 6, 1980-1981, 1020, 1025, 1032.
26. *Martin S., Randall L. A. E.*, Law of Contracts, NY, 1912, 602, 612.
27. *McGovern W. M.*, Contract in Medieval England: The Necessity for Quid pro Quo and a Sum Certain, *The American Journal Legal History*, Vol. XIII, 1969, 5.
28. *Pieck M.*, A Study of the Significant Aspects of German Contract Law, *Annual Survey of International & Comparative Law*, Vol. 3, 1996, 118.
29. *Posner R. A.*, Economic Analysis of Law, 7th ed., US, 2007, xxi, 93, 105.
30. *Posner E. A.*, Economic Analysis of Contract Law After Three Decades: Success or Failure?, *U Chicago Law And Economics*, Olin Working Paper, № 146, 2002, 9, 14.
31. *Posner R. A.*, The Law and Economics of Contract Interpretation, *The Chicago Working Paper Series*, Vol. 83:1581, 2004, 5, 1.
32. *Posner R. A., Rosenfield A. M.*, Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, *The Journal of Legal Studies*, Vol. 6, № 1, 1977, 84, 90, 108.
33. *Shavell S.*, On the Writing and the Interpretation of Contracts, *The Journal of Law, Economics and Organization*, Vol. 22, 2006, 290, 310.
34. *Smeenk B. P.*, Ambiguities and Extrinsic Evidence, *Advocates' Quarterly*, Vol. 12, 1990, 237.
35. *Thompson S. D.*, Respondeat Superior, 1879, 238, <<http://heinonline.org>>.
36. *Willimason O. E.*, Transaction-Cost Economics: The Governance of Contractual Relations, *The Journal of Law and Economics*, Vol. 22, № 2, 1979, 236, 237.
37. *Williston S.*, Law Governing Sales of Goods at Common Law and Under the Uniform Sales Act, NY, 1909, 190.
38. *Zorzetto S.*, Reasonableness, *The Italian Law Journal*, Vol. 01, № 01, 2015, 107, 117, 119.